

"დემოკრატიული ფრონტის" ალტერნატიული გამოძიება

A4



მინოუგის ფორმულა ბიჭები

A6



გულახდილად

A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 4 მარტი, 2006 წელი. №46 (1198) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### რუსეთი "ისტორიული როლის" მორგებას ცდილობს



"ჰამას"-ის დელეგაცია მოსკოვს ეწვია.

A2

## სამართალი

### გუშინ გამგებელი, დღეს პატიმარი

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ ხაშურის ყოფილი გამგებელი რეზო ჯობაძე სახელმწიფო ქონების მითვისებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა.

A4

## სხვადასხვა

### "ბედნიერება უბედურებაში"

ასე შეარქვეს ფსიქიატრიის კლინიკის პაციენტებმა არტ-თერაპიულ განყოფილებას, რომელიც უკვე ერთი წელიწადია მათ კლინიკაში ფუნქციონირებს.

A8


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 4/03 | 5 /03 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 10 |
| ტყიბული | 5 | 11 |
| სოხუმი | 6 | 14 |
| დმანისი | -1 | 7 |
| გორი | 3 | 8 |
| ონი | -5 | 1 |
| ზუგდიდი | 8 | 16 |
| ახმეტა | 9 | 8 |
| გაგრა | 3 | 11 |
| სამტრედია | 8 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.1840 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2016 |
| რუბლი | 0.0653 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ეკონომიკა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| კვირა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# "თემატური ოპოზიცია" კანცელარიისკენ მიიწევს

### რა აერთიანებს სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიებს?

გიორგი ასანიშვილი

*ოცნებას კაცი არ მოუკლავს - შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავს. "მომავალი სამთავრობო კოალიცია სახეზეა," - "ჩრდილოვან კაბინეტს" წარუდგენს მასმედიას ლეიბორისტული პარტიის ლიდერი. გუშინ იგი თავის ოფისში პოლიტიკურ მოკავშირეებს მასპინძლობდა. ამჟამინდელ ხელისუფლებასთან ბრძოლის გეგმებს ნათელაშვილთან ერთად ადგენდნენ "ახალი მემარჯვენეები" - მამუკა კაციტაძე და ფიქრია ჩიხრაძე, "კონსერვატორები" - კობა დავითაშვილი და კახა კუკავა, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი, "რესპუბლიკელების" თავკაცი დავით უსუფაშვილი... ერთგვარი პოლიტიკური ანომალია - მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების ერთიანობა, გუშინდელი შეხვედრის მონაწილეთა თქმით, ხელისუფლების ხისტი და თავხედური ქმედებების შედეგია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ბევრ საკითხში პოზიციების თანხვედრის მიუხედავად, ოპოზიცია ერთ პარტიად ჩამოყალიბებას არ აპირებს.*

# "შესუსტებული" ლარი ექსპორტს და ინფლაციას გაზრდის

თინა შავაძე

*2004 წლის გაზაფხულიდან მიმდინარე წლის თებერვლამდე ლარის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში 2,20 ნიშნულიდან 1,79 ნიშნულამდე გამყარდა. სტაბილურობას საერთაშორისო დახმარებები უზრუნველყოფს. აქამდე არსებული გაცვლითი კურსი უპირატეს მდგომარეობაში იმპორტიორებს აყენებდა, რითაც ქართული პროდუქციის ექსპორტი ზარალდებოდა. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვივარაუდეთ, რომ, თუ მთავრობა რადიკალურად განსხვავებულ კურსს მიმართავს და შეცვლის სავალუტო პოლიტიკას, ქვეყანაში სოციალური ფონი შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს, მაგრამ იქვე აღვნიშნეთ, რომ ვალუტის კურსის ხელოვნურად დაჭერის დროს ეკონომიკა თავისუფლად ვერ სუნთქავს და, ამდენად, ის ეკონომიკის გაჯანსაღებას სულაც არ ემსახურება.*

გაგრძელება A5 გვერდზე




გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ახალი მისამართია:
გამრეკელის ქ. №51
(შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან)
ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86




# პირველი ნავთობკონსორციუმი საქართველოში

### "ბრითიშ პეტროლიუმი", "შევრონი" და თურქეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია "შავი ოქროს" მოპოვებას გაზრდიან

ნინო ნატროშვილი

ნავთობი რაც უფრო მსუბუქია და მეტი ამტანობის ხარისხი გააჩნია, მსოფლიო ბაზარზე მით უფრო ძვირად ფასობს. ამ მხრივ, ქართული ნავთობი ერთ-ერთი საუკეთესოა - აქვს დაბალი ხვედრითი წონა და ე.წ. "ბრენდის ტიპის" ჯგუფს განეკუთვნება. არსებობს მძიმე, დაბალი ხარისხის ნავთობი, რომელიც "ურალის ტიპის" ჯგუფშია გაერთიანებული. მას რუსეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში მოიპოვებენ. ამ ქვეყნების საბადოებიდან ამოღებული ნავთობისაგან განსხვავებით, ქართული "შავი ოქრო" ლონდონის ბირჟაზე 1,5 დოლარით უფრო ძვირად იყიდება.

გასულ წლებთან შედარებით, საქართველოში ნავთობის მოპოვების მოცულობა შემცირდა. ს.ს საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანიის მონაცემებით, 2005 წელს საქართველოს ნავთობმომპოვებელ სექტორში სულ 66 702 ტონა ნავთობია მოპოვებული. აქედან "საქნავთობმა" 13 635 ტონა ნედლი ნავთობი მოიპოვა, ხოლო კონტრაქტორებმა - 53 067 ტონა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უცხოურმა ნავთობმომპოვებელმა კომპანიებმა, 2004 წელთან შედარებით, მოპოვება 32 842 ტონით შეამცირეს. თუმცა მოსალოდნელია, არსებული მდგომარეობა შეიცვალოს.

გაზეთ "24 საათს" საქნავთობში განუცხადეს, რომ "ანადარკოს" მიერ წარმოებული მასშტაბური კვლევების შემდეგ შეიქმნა კონსორციუმი, რომელშიც შევიდნენ "ბრითიშ პეტროლიუმი", "თურქეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია" და "შევრონი".

გაგრძელება A5 გვერდზე

# აშშ როკის გვირაბზე ერთობლივი მონიტორინგისკენ მოუწოდებს

ეუთო-ს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას აშშ-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ეუთო-ში, კაილი სკოტმა, რუსეთის და "სამხრეთ ოსეთის" მხარეებს მოუწოდა, საერთაშორისო დამკვირვებლებს როკის გვირაბის გაკონტროლების ნება დართონ.

კაილი სკოტმა განაცხადა, რომ ეს შესაძლოა იყოს რუსული და "სამხრეთ ოსური" მხარეების საპასუხო ნაბიჯი ქართული მხარის მცდელობებზე, მიიღოს რთული გადაწყვეტილებები, რაც, დიპლომატის თქმით, საჭიროა ხანგრძლივი მშვიდობისთვის. **"რუსულ და სამხრეთ ოსურ მხარეებს მოვუწოდებთ, ნდობის აღდგენის ღონისძიებებით უპასუხონ. ეს უნდა შეიცავდეს საერთაშორისო დამკვირვებელთათვის ნებართვას, გააკონტროლონ როკის გვირაბი და გამოიყვანონ ის რუსი სამხედროები და ტექნიკა, რომელიც კონფლიქტის ზონაში არ უნდა იყოს განლაგებული,"** - აცხადებს კაილი სკოტი.

დიპლომატმა, ასევე განაცხადა, რომ აშშ მეტად შეწუხებულია რუსეთის განცხადების გამო, რომ დაიცავს თავისი მოქალაქეების ინტერესებს "სამხრეთ ოსეთში".

**"ამერიკის შეერთებულ შტატებს სჯერა, რომ რუსეთის მოქალაქეობის გავრცელება სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობაზე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რუსეთის ფედერაციის მიერ გაცხადებულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ამ პრინციპის საფუძველზე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მოგვარებისთვის,"** - აცხადებს ამერიკელი დიპლომატი.

კაილი სკოტმა აღნიშნა, რომ აშშ შეწუხებულია რუსეთის უარის გამო, მონაწილეობა მიეღო შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაში, რომელიც ვენაში 20-21 თებერვლისთვის იყო დაგეგმილი. **"ვენის სხდომის ჩაშლამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩვენს მცდელობებს, რომელთა მიზანი იყო დავხმარებოდით მხარეებს შეთანხმებული პროგრამის შემუშავებაში. ნდობის აღდგენა და ეკონომიკური თანამშრომლობა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის სტატუსის მოგვარებამდე მიგვიყვანდა,"** - მიაჩნია კაილი სკოტს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთავარია, შეხვედრა შედგეს...

### ქართული მხარე მზადაა, ყველგან ჩავიდეს

შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლების გუშინდელმა განცხადებამ, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის გამართვის თაობაზე, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას ჭირვეულობის საბაბი აღარ დაუტოვოს.

**"შერეული საკონტროლო კომისია აუცილებლად უნდა შეიკრიბოს მარტის შუა რიცხვებისთვის. ქართული მხარე მზადაა, ჩავიდეს ყველგან, სადაც კომისია საჭიროდ ჩათვლის. მთავარია, შეხვედრა შედგეს და მოლაპარაკებათა პროცესი არ შეწყდეს, ხოლო სად შევხვდებით ერთმანეთს, ეს უკვე მეორეხარისხოვანი საკითხია,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ.

შეგახსენებთ, რომ 20-21 თებერვალს ვენაში დაგეგმილი შსკ-ს სხდომის ჩაშლის მიზეზი სწორედ ოსური მხარის "ჭირვეულობა" გახდა. ოსურმა დელეგაციამ შეხვედრის ადგილი დაიწუნა და სხდომის მოსკოვში ჩატარება ისურვა.

შერეული საკონტროლო კომისიის მომავალ სხდომაზე მხარეებმა კონფლიქტის დარეგულირების ერთობლივი სამშვიდობო გეგმის რეალიზაციისთვის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე უნდა იმსჯელონ. აღნიშნული საკითხი 20-21 თებერვალს ვენაში დაგეგმილი შეხვედრის დღის წესრიგში ერთ-ერთ საკვანძო საკითხად იყო შეტანილი. **"ეს საკითხი ოთხივე მხარის მიერ მხარდაჭერილია და სხდომის ოქმშიც შეტანილია. ქაღალდზე მუშაობა ადვილია, მაგრამ უფრო რთული აღმოჩნდა დაწერილის რეალიზება,"** - განაცხადა ხაინდრავამ. მისი თქმით, ქართული მხარე კვლავინდებურად აუცილებლად მიიჩნევს პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის შეხვედრას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი "ისტორიული როლის" მორგებას ცდილობს

## "ჰამას"-ის დელეგაცია მოსკოვს ეწვია



რუსეთი მზადაა, დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის "ხიდის" როლი შეასრულოს

პალესტინის რადიკალური დაჯგუფება "ჰამას"-ის დელეგაცია ორგანიზაციის ლიდერის ხალედ მაშალის ხელმძღვანელობით მოსკოვში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა. "ჰამას"-ის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, სერგეი ლავროვთან გამართეს.

**"რუსეთი მზადაა, დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის "ხიდის" როლი შეასრულოს, რადგან ჩვენი ქვეყანა მთელი ისტორიის მანძილზე კულტურულ-ცივილიზაციური ხიდის როლს ასრულებდა,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დაწყების წინ, ყოველკვირეული გაზეთის "მოსკოვსკიე ნოვოსტ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ოფიციალური მოსკოვი არ დაუშვებს მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ხასიათის კონფლიქტს, მათ შორის - ექსტრემისტული გამოვლინებებით, პროვოკაციებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევას, რამაც შედეგად გლობალური მასშტაბის ცივილიზაციათა შეჯახება შეიძლება გამოიწვიოს. შეუძლებელია, ასეთი საფრთხის არსებობის შემთხვევაში განყენებული დამკვირვებლის როლი მოირგო, - მიიჩნევს რუსეთის საგარეო უწყების მეთაური.

**"ჩვენთვის ერთადერთი მისაღები მიდგომა საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის ინიციატივის განხორციელებაა, რაც საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ გარკვეული ძალისხმევის მონაწილე მანამდე, ვიდრე კომპრომისი არ იქნება ნაპოვნი, ეს კი ყოველთვის დროსა და მოთმინებას მოითხოვს. ჩვენ არ ვართ დიქტატისა და ულტიმატუმების მომხრე, რასაც სამყარო ყოველთვის ჩიხში შეჰყავს,"** - აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

მისი თქმით, სწორედ ესაა რუსეთისთვის ამოსავალი წერტილი ბირთვული საწვავის ციკლის ინტერნაციონალიზაციისთვის ირანის "ბირთვულ პროგრამასთან" მიმართებაში, პალესტინურ მოძრაობა "ჰამას"-თან ურთიერთობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**"ნებისმიერი კომპრომისი მისაღებია მხოლოდ სამართლებრივ სფეროში, რაც საერთაშორისო უსაფრთხოებას არ დაემუქრება,"** - დასძინა ლავროვმა.

ვიზიტის ფარგლებში პალესტინელები რუსეთის დიპლომატიური სფეროს სხვა მაღალჩინოსნებსაც შეხვდებიან.

**"რუსეთის დედაქალაქში პრეზიდენტ პუტინის მოწვევით ჩამოვედით, რათა ვიმსჯელოთ. ჩვენ ოფიციალური მოსკოვისგან, ყოველგვარი პირობის გარეშე, კონსულტაციებს მივიღებთ,"** - განაცხადა ჯერ კიდევ აეროპორტში "ჰამას"-ის პოლიტიკურმა ლიდერმა ხალედ მაშალმა. ვლადიმირ პუტინმა "ჰამას"-ის დელეგაცია მადრიდში ვიზიტისას მიიწვია მოსკოვში, პალესტინის ავტონომიის საპარლამენტო არჩევნებში ამ რადიკალური დაჯგუფების გამარჯვების შემდეგ. დღემდე კი ე.წ. "ახლო აღმოსავლეთის ოთხეულის" (ევროკავშირი, გაერო, რუსეთი და აშშ) არც ერთი წევრი, "ჰამას"-თან მოლაპარაკების მიზნით, ოფიციალური შეხვედრის მაგიდასთან არ დამჯდარა. დამოუკიდებელი ექსპერტები ოფიციალური მოსკოვის დიპლომატიურ ინიციატივას ერთსულოვნად მიესალმებიან მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ ნაბიჯს ეჭვის თვალით უყურებენ. რაც შეეხება თავად ისრაელის დამოკიდებულებას ვლადიმირ პუტინის წინადადებისადმი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკიდურესად უარყოფითია. ისრაელის ერთ-ერთმა მინისტრმა ამ ინიციატივას "ზურგში დანის ჩაცემაც" უწოდა. "ახლო აღმოსავლეთის ოთხეულის" წევრები, კერძოდ - ევროკავშირი და აშშ, "ჰამას"-ს კვლავინდებურად ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ. რუსეთი კი დარწმუნებულია, რომ დაჯგუფების პოლიტიკურ იზოლაციაში მოქცევა არ შეიძლება, და პირიქით, მისთვის მეგობრობის ხელის გაწვდენა ნაყოფიერიც აღმოჩნდება. თანაც, რუსეთი ამ ნაბიჯით ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმთავრეს "ჭადრაკის პარტიაში" საკვანძო პოზიციის დაბრუნებას ცდილობს, რის შემდეგაც მას შეეძლება ხმამაღალი განცხადებების გაკეთება საერთაშორისო ასპარეზზე.

პალესტინის დელეგაციის წარმომადგენლებმა იქვე ისიც დასძინეს, რომ ისრაელის აღიარების განხილვას არ აპირებენ, არამედ აქცენტი მხოლოდ "პალესტინის მიწის ოკუპაციის" პრობლემაზე გაკეთდება. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სამშვიდობო პროცესის გაჭიანურებაში "ჰამას"-ი ისრაელს ადანაშაულებს.

**"ჩვენ კი არა, ისრაელმა შეაფერხა "საგზაო რუკის" განხორციელება. ჩვენ მხოლოდ მშვიდობა და მოლაპარაკებების გაგრძელება გვსურს,"** - აღნიშნა მაშაალმა.

პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, რომელმაც "ჰამას"-ი მოსკოვში მიიწვია, დელეგაციის წევრებს არ შეხვდება. ექსტრემისტულმა ორგანიზაცია "ჰამას"-მა, 2006 წლის იანვრის ბოლოს პარლამენტის ავტონომიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და მთავრობის ფორმირების უფლება მოიპოვა. საერთაშორისო გაერთიანება მოითხოვს, რომ "ჰამასმა" ძალადობაზე უარი თქვას და ისრაელის სახელმწიფო აღიაროს.

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სპეციალურმა დესპანმა ალექსანდრ კალუგინმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების ამოცანაა არა "ჰამასზე" ზეწოლის მოხდენა, არამედ მცდელობა, დაარწმუნონ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ისრაელის მიმართ პოზიცია შეცვალონ.

რუსეთი მოსკოვში "ჰამას"-ის დელეგაციის ვიზიტამდე აცხადებდა, რომ ეცდებოდა დაერწმუნებინა "ჰამას"-ის ხელმძღვანელობა, ცოტა ზომიერი გაეხადა თავისი პოზიცია და ძალადობრივ მეთოდებზე ოფიციალურად უარი ეთქვა.

თუმცა, პალესტინელთა ხმამაღლა გაცხადებული მზაობის - განაგრძონ "საგზაო რუკის" მოლაპარაკებები - მიუხედავად, დაზუსტებით ვერავინ იტყვის, მართლა მოიქცევა "ჰამას"-ი ასე, თუ არა.

*24 საათი*

# ტენდერის შედეგები - პოსტ-ფაქტუმ

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*ბათუმის მერიაში ტენდერები სიმბოლურად ცხადდება. მაშინ, როდესაც ქალაქში შენობა-ნაგებობების ფასადების შეღებვის შესახებ მორიგ ტენდერში განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა 28 თებერვალი იყო, ზოგიერთმა ფირმამ, რომელიც ამგვარ ტენდერში ხშირად იმარჯვებს, სამღებრო სამუშაოები რამდენიმე დღით ადრე დაიწყო.*



ზ. გამსახურდიას ქუჩაზე, ტენდერამდე ერთი დღით ადრე, სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის პრიორიტეტები პრეზიდენტის კანცელარიაში ისაზღვრება. ბათუმისათვის ერთ-ერთი ასეთი მთავარი "პრიორიტეტი" შენობა-ნაგებობების ფასადების შეღებვაა, რაც ბევრ ბათუმელს მოსწონს. სკეპტიკოსები კი ამ "აქციაში" კორუფციის, ფულის გაკეთების საშუალებას ხედავენ.

აქვს თუ არა კორუფციულ გარიგებებს ადგილი ქალაქის ფასადების შეღებვისა და ზოგადად, სახელმწიფო შეკვეთების მიღების დროს?!

ზოგიერთი ფაქტი: 4 თებერვლის გაზეთ "24 საათში", ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივმა სამსახურმა ხულოს, ზ. გამსახურდიას, ერასა და ხიმშიაშვილის ქუჩებზე არსებული შენობა-ნაგებობის აღდგენა-შეღებვითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა. "დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 თებერვლიდან 2006 წლის 28 თებერვლის 17 საათამდე", - აღნიშნულია სატენდერო განცხადებაში.

ტენდერში მონაწილეობის სურვილი არაერთ ბათუმურ სამშენებლო ფირმას გაუჩნდა. ვითარების გარკვევის შემდეგ კი ზოგიერთი მათგანი უკმაყოფილო დარჩა. **"სატენდერო წინადადების მომზადების ხარჯები ათას ლარს სცილდება. ნასამართლობის შესახებ საბუთის გასაკეთებლად ორჯერ თბილისში ჩასვლაა საჭირო. 200 ლარი მერიაში უნდა შეიტანო (ამ თანხას უკან არ გვიბრუნებენ). ეს ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ტენდერში გამოცხადებულ ობიექტებზე სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. ამას, ძირითადად, ის ფირმები აკეთებენ, რომლებიც ამგვარ ტენდერებში ხშირად იმარჯვებენ. არ გვინდა კოლეგებს ღიად დავუპირისპირდეთ, მაგრამ რაღას გვატყუებენ?! ჩვენი დაფიქსირება ტენდერში მონაწილედ იმიტომ უნდათ, რომ შემდეგ ტენდერის კანონიერება ამტკიცონ (აუცილებელია ერთზე მეტმა ფირმამ მიიღოს მონაწილეობა). ტენდერები აშკარად ჩაწყობებით ხდება,"** - ასეთი პოზიცია აქვთ ტენდერით უკმაყოფილო ფირმების წარმომადგენლებს (ვინაობას საჯაროდ არ აფიქსირებენ).

როგორც ჩანს, შარშანდელ ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა - "კაპადოკიამ" ორ კორპუსზე (ხიმშიაშვილის ქუჩაზე) ახლად გამოცხადებული ტენდერი მოგებულად ჩათვალა და მორეცხვითი სამუშაოები 28 თებერვლამდე ჩაატარა. რაც შეეხება ზ. გამსახურდიას ქუჩას (ფასადები მთელ ქუჩაზე უნდა შეიღებოს), სამუშაოები ანალოგიურად, იქაც ტენდერამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო. მშენებლებმა არ იციან სახელწოდება ფირმისა, რომელშიც მუშაობენ. **"ფირმას რა ჰქვია, არ ვიცით. ლევან ვარშალომიძეს ეკუთვნის. მთელ ქალაქს ჩვენ ვღებავთ. ოფისი ერას ქუჩაზე, საკაბელო ტელევიზიის შენობაშია. ფირმას სულხან გოგიბერიძე ხელმძღვანელობს,"** - გვითხრეს მათ.

აღნიშნულ სამშენებლო ფირმას "CREATIVE IMPRESSIONS"-ი ჰქვია. ფირმის ხელმძღვანელის, სულხან გოგიბერიძის განცხადებით, მიმდინარე სამუშაოები ტენდერს არ უკავშირდება: **"ჩვენ, უბრალოდ, მორეცხვით სამუშაოებს ვატარებთ. ეს ამ ქუჩაზე განლაგებულ ოფისებში მომუშავე არქიტექტორებმა გვთხოვეს. მოსახლეობისგან თხოვნა არ გვქონია".**

"ჩემს თხოვნას ამგვარი ძალა აქვს?! ეტყობა სხვა, გავლენიანმა პირმაც სთხოვა," - ამბობს გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი, არქიტექტორი ჯემალ გოგიტიძე.

ბათუმის მერიის საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსი ზაურ ფატლაძე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს: **"ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 28 თებერვალი იყო. აქედან რამდენიმე დღეში სატენდერო კომისია ფირმების წინადადებებს განიხილავს და გამარჯვებულიც გამოვლინდება. ამჟამად რომელი ფირმა ასრულებს სამუშაოებს და ვისთან შეთანხმებით, არ ვიცი".**

ეს კომენტარი ფატლაძემ ტენდერამდე რამდენიმე დღით ადრე გააკეთა. ტენდერის შედეგებიც მალე გაირკვა. ხიმშიაშვილის ქუჩაზე ტენდერში 2 ფირმა მონაწილეობდა და გამარჯვება ვერც ერთმა ვერ შეძლო. ზ. გამსახურდიას ქუჩაზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფირმა "CREATIVE IMPRESSIONS"-ს კონკურენტი არ ჰყოლია და გამარჯვებულმაც მუშაობა ჩვეულებრივ გააგრძელა.

# რომის პაპის სწრაფვა ეკუმენისტური პროგრესისაკენ

რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ თავისი 9 ოფიციალური ტიტულიდან ერთ-ერთზე - "დასავლეთის პატრიარქი" - უარი თქვა.

როგორც ვატიკანის ოფიციალურ ჟურნალში "Annuario Pontificio"- შია აღნიშნული, ეს ჟესტი პაპის მხრიდან კეთილი ნების გამოვლენა იყო მართლმადიდებლური სამყაროს მიმართ.

პაპს დარჩა ტრადიციული ტიტულები - "იესო ქრისტეს ვიკარიუსი", "მსოფლიო ეკლესიის უზენაესი პანტიფიკოსი", "ღვთის მსახურთმსახური" და ა.შ.

"წარსულში "დასავლეთის პატრიარქი" აღმოსავლეთის პატრიარქის საპირისპირო ცნებად აღიქმებოდა. ვფიქრობ, პაპის გადაწყვეტილება ეკუმენისტური პროგრესისკენ სწრაფვით აიხსნება," - განაცხადა ვატიკანის აღმოსავლური ეკლესიის ლიტურგიული კანცელარიის ყოფილმა ხელმძღვანელმა, კარდინალმა აჩილე სილვესტრინიმ.

რომის პაპის ტიტული "დასავლეთის პატრაიარქი" 1054 წელს კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დიდი განხეთქილების დროს დამკვიდრდა.

*ჯი ეიჩ ენი*




# უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 92.0

## გადაცემის სტუმარია პოეტი დათო მაღრაძე

**ალექსანდრე ელისაშვილი:** თქვენ ახლახან აიღეთ სახელმწიფო პრემია ლექსების კრებულისთვის "სალვე". როგორ გაჩნდა ეს სათაური?

**დათო მაღრაძე:** ეს წიგნი ჩემს მუდმივ გამომცემელთან ლევან თითმერიასთან რომ მივიტანე, მთხოვა, წინასიტყვაობა დამეწერა. საკუთარი წიგნის წინასიტყვაობა არასდროს დამიწერია. მერე ისე "გავხურდი", რომ 4 წინასიტყვაობა დავწერე. ერთ-ერთში წერია, რომ წიგნის გარეკანზე მოთავსებული სურათი არის ჩემი სახლის სადარბაზო. წიგნის მხატვარი მინდოდა ყოფილიყო ტატო კოტეტიშვილი, მან გადაიღო ჩემი სახლის სადარბაზო. სადარბაზოში ვინც შემოდიოდა, პირველი წარწერა "სალვე" ხვდებოდა. ასე გაჩნდა წიგნის გარეკანზე ეს ფოტო და წარწერა. შემდეგ ლევან თითმერიამ გამომცემლობა "საარის" სახელით ეს წიგნი სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა. საერთოდ, პოეტის ყველაზე დიდი დამფასებელი მკითხველია. ამ კომისიაში, საუკეთესო მკითხველები არიან. ყველას დიდი მადლობა, ლექსის დაფასებისთვის.

**ა. ე.:** თქვენ გქონდათ არასამთავრობო ორგანიზაცია "ძველი თბილისი". მერე გაჩერდა, რატომ?

**დ. მ.:** ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მე და ჩემმა მეგობრებმა იმის საპასუხოდ დავაფუძნეთ, რაც ხდებოდა ჩვენს ყოფაში. ძველი ქალაქი, როგორც ძეგლი ძალიან დაზარალდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მერე, ვფიქრობდით, რომ ამ პრობლემას ეშველებოდა, მაგრამ იგი მშენებელმა, არქიტექტორმა და ჩინოვნიკმა ყველამ ერთად გაიმეტა. მე არც მშენებელი ვარ და არც არქიტექტორი. ჩვენი მიზანი იყო, რომ საზოგადოების ფიქრის ზედაპირზე ამოგვეტანა აზრი, რომ იღუპება ძველი ქალაქი. ვფიქრობ, შევძელით. ადრე, არაფერს ეკითხებოდნენ იმ ექსპერტებს, რომელთაც დღეს ყურადღება დაუთმეს. ამდენად, ჩემნაირი კვალიფიკაციის ადამიანისთვის იქ მოღვაწეობა ზედმეტია იყო.

**ა. ე.:** ორი შენობა დამისახელეთ, რომელიც ყველაზე მეტად გიშლით ნერვებს.

**დ. მ.:** მაგალითად, ყოფილ ენგელსის ქუჩაზე, ააშენეს ამოწვეტილი შენობა, რომელმაც ქალაქს დაუკარგა ბეთლემი. ბეთლემის ხედის პრივატიზაცია მოხდა. ახლა, ან ვერტმფრენში უნდა იჯდე ბეთლემი რომ დაინახო, ან ამ სახლში უნდა იცნობდე ვინმეს და სტუმრად მიხვიდე. ასევე, საბჭოთა კავშირის დროს გაანადგურეს ზემელი. იუნესკოს კომისიის ექსპერტებმა "ძველი თბილისის" დაფინანსებათა ნუსხაში შეტანის საკითხი დააყენეს, მაგრამ არ გააწევრიანეს. დასკვნაში წერია, რომ ეს მართლაც ძველი ძეგლია, მაგრამ, იუნესკოს ერთი კრიტერიუმი აქვს, რომ თვითონ ქვეყანაც უნდა ზრუნავდეს ძეგლზე. ამ კრიტერიუმის გამო არ გაგვაწევრიანეს. ეს იყო 1999-2000 წლები.

**მსმენელი:** ხელოვანებისა და ხელისუფლების დამოკიდებულებაზე რას იტყვით? ხართ თუ არა მერის პირდაპირი წესით არჩევის მომხრე?

**დ. მ.:** რა თქმა უნდა, ვემხრობი. თუმცა, გარდა ამისა უამრავი სხვა საფიქრალიც მაქვს და ჩახვეული კასეტასავით ყოველდღე ვერ გამოვაცხადებ, რომ მერის პირდაპირ არჩევნებს ვემხრობი.

**ა. ე.:** რას იტყვით კონფორმიზმზე ხელისუფლებასა და ხელოვან ხალხს შორის. ბოლო დროს აქტიური განხილვის თემაა, რომ ხელისუფლებამ ხელოვანთა მხოლოდ ერთი ჯგუფი დაიახლოვა.

**დ. მ.:** ეს საბჭოთა პერიოდიდან მოგვდევს, მართალია ეს დრო ოფიციალურად დამთავრდა, მაგრამ დამოკიდებულება ხელოვანსა და ხელისუფლებას შორის ინერციით გაგრძელდა. როცა ამ დამოკიდებულებას ვუპირსპირდებოდი, ცვლილების გულწრფელი განზრახვა მქონდა. ჩანაცვლება არ მინდოდა, მინდოდა ცვლილება. როგორც გამოჩნდა არსებობს ნაწილი, რომელსაც ჩანაცვლება უფრო სდომებია, ვიდრე ცვლილება. ახლა ხელისუფლებისგან ვეღარ ვგრძნობ მთელი სიმხურვალით ამ მახინჯი ტენდენციის მხარდაჭერას. ადამიანები შეიძლება სთავაზობენ იგივენაირ სამსახურს, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ვეღარ ვამჩნევ ხელოვანი ხალხის მოქრთამვას. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ უმაღლესი ეშელონების ხელისუფალი სულ 2-3-ჯერ მინახავს. პირადი ურთიერთობა არც მათ გაუგრძელებიათ და არც მე შემითავაზებია. ვფიქრობ, ეს ხელოვანსა და ხელისუფლების წარმომადგენლის ურთიერთობის ჯანსაღი ფორმაა.

**ა. ე.:** ერთი ქუჩა თუ გაქვთ თბილისში აკვიატებული?

**დ. მ.:** სადაც გაიზარდე, შენთვის ის უფრო ძვირფასია. თუნდაც განაშენიანების მხრივ ნაკლებად ღირებული იყოს. ყმაწვილობის დროს რაც გავიცანი, სოლოლაკი, მთაწმინდა და მამადავითი იყო.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია




# "თემატური ოპოზიცია" კანცელარიისკენ მიიწევს

პირველი გვერდიდან

ლეიბორისტების ოფისში რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის გამოჩენა გუშინდელი შეკრების დანარჩენი მონაწილეებისთვისაც კი სიურპრიზი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიების საკოორდინაციო საბჭო თანამოაზრეების ალიანსად აღიქმება, "ბაზრის პოლიტიკოსებთან" გარკვეული დისტანციის შენარჩუნებას დავით უსუფაშვილი მაინც ცდილობს. მას არ ავიწყდება იმის ხაზგასმა, რომ ამ დღეებში პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაში მის თანაპარტიელებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**"ჩვენს შორის განსხვავება არსებობს და ის მომავალშიც შენარჩუნდება,"** - აცხადებს უსუფაშვილი, რომელიც, ამასთან, "აღიარებს", რომ ოპოზიციურ ძალებს შორის კოორდინაცია და დიალოგი აუცილებელია.

რესპუბლიკელების ლიდერისგან განსხვავებით, უფრო მაღალი ხარისხის "ინტეგრაციას" ემხრობიან "ახალი მემარჯვენეები". მამუკა კაციტაძე აღნიშნავს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები გასულ წელს გამართული პრაიმერის დროს გადაიდგა და კოორდინაცია თანდათან უფრო მაღალ ხარისხში გადადის.

**"ის, რომ განსხვავებული ოპოზიციური ჯგუფები ერთობლივ ღონისძიებებზე ადვილად თანხმდებიან, ხელისუფლების ხისტი და თავხედური ქმედებების შედეგია,"** - მიაჩნია კაციტაძეს.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს დავით ზურაბიშვილი, რომლის განცხადებითაც, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ოპოზიციური ძალების კოორდინაცია მოხდეს. ფრაქციის თავმჯდომარე ოპოზიციური ძალების "თემატურ გაერთიანებაზე" საუბრობს.

**"თემატიკა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს, ძალიან ფართოა - მოვაჭრეების პრობლემატიკიდან დაწყებული და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებით დამთავრებული. უკვე მიდის საუბარი ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნაზე, მაგრამ კონკრეტულად რა ფორმას მიიღებს ის, ჯერ ვერაფერს ვიტყვი,"** - აცხადებს ზურაბიშვილი, რომელიც იქვე დასძენს, რომ ბევრ საკითხში პოზიციების თანხვედრის მიუხედავად, ოპოზიცია ერთ პარტიად ჩამოყალიბებას ნამდვილად არ აპირებს.

ბევრისთვის შეიძლება ძნელი ასახსნელია, როგორ ახერხებენ "ნაყოფიერ თანამშრომლობას" განსხვავებული მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის მქონე პარტიები, როგორ "ძოვენ" ერთად მემარჯვენე და მემარცხენე ორიენტაციის პოლიტიკოსები. ასეთი პოლიტიკური ანომალია დავით ზურაბიშვილს სულაც არ ეჩვენება უცნაურად.

**"მემარჯვენეობა-მემარცხენეობის საკითხი - პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებები, დღევანდელ საქართველოში ნაკლებად აქტუალურია. უფრო მეტი დატვირთვა გააჩნია ისეთი საერთო ფუნდამენტური ღირებულებების გარშემო გაერთიანებას, როგორიც არის, მაგალითად, ბრძოლა სამართლიანობისა და კანონის უზენაესობისთვის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერესებისთვის და ასე შემდეგ,"** - აღნიშნავს "24 საათთან" საუბარში დავით ზურაბიშვილი...

ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გუშინდელი ორსაათიანი დახურული შეხვედრის მთავარი შედეგი ის არის, რომ 9 მარტს პარლამენტის წინ ჩატარდება საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილენიც, მოგვიანებით, რუსთაველის პროსპექტიდან სახელმწიფო კანცელარიისკენ მშვიდობიან მსვლელობას მოაწყობენ. კახა კუკავას თქმით, საპროტესტო აქციის მოთხოვნა იქნება საკონტროლო-სალარო აპარატების არგამოყენების შემთხვევაში გამკაცრებული სანქციების გადავადება და ფიქსირებული გადასახადის შემოღება. **"9 მარტის აქციაზე პოლიტიკურ მოთხოვნებს არ წამოვაყენებთ,"** - აცხადებს კახა კუკავა.

ლეიბორისტების ოფისში გუშინ გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომას, "მრეწველების" გარდა, თითქმის ყველა წამყვანი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი ესწრებოდა. ღონისძიების მასპინძელი, ზურაბ ტყემალაძისა და მისი თანაპარტიელების არყოფნასთან დაკავშირებით, გარკვევით ვერაფერს ამბობს. **"ჩვენ არავინ დაგვიპატიჟია, დღეს აქ ყველა თავისი ინიციატივით მოვიდა. თუ უნდოდა, ტყემალაძეც მოვიდოდა,"** - შენიშნავს შალვა ნათელაშვილი.

# აშშ როკის გვირაბზე ერთობლივი მონიტორინგისკენ მოუწოდებს

პირველი გვერდიდან

დიპლომატი ასევე აცხადებს, რომ **"აშშ მიესალმება სამხრეთ ოსეთის და ქართული მხარეების პირისპირ შეხვედრას სამშვიდობო გეგმაზე საერთო ხედვის შემუშავების მიზნით".**

ამერიკელი დიპლომატი მოწონებით შეხვდა საქართველოს ხელისუფლების განცხადებას კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის მიზნით ცალმხრივი ქმედებების დაწყების შესახებ. მან მოუწოდა ცხინვალს, ითანამშრომლოს ქართულ მხარესთან კონფლიქტის მსხვერპლთა ქონების რესტიტუციის კანონპროექტზე.

რაც შეეხება ევროკავშირის 21 თებერვლის განცხადებას, აშშ-საც სჯერა, რომ ეუთო-ს წევრების ფართო მონაწილეობა ხელს შეუწყობს მოლაპარაკებების პროცესს, კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და ეკონომიკურ განვითარებას. **"ეს საქართველოს ყველა მოქალაქეს დაეხმარება, მათ შორის მათაც, ვინც სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს,"** - აცხადებს სკოტი.

*მედიანიუსი*

გთავაზობთ იაპონურ მეორად ავტომობილებს
Japanese Used Cars
a.n.nagoya, inc.

2-20-111 Asaokacho, Chikusaku, Nagoya 464-0811 Japan
ტელ: 81-52-782-2807 ფაქსი/Fax: 81-52-782-2907
Mobile: 81-90-1831-9726

e-mail: a.n.nagoya48@tea.ocn.ne.jp
URL: http://www.annagoya.com



# მთავარია, შეხვედრა შედგეს...

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი წინადადებები ოსური მხარისთვის ცნობილია, ახლა სიტყვა ჩვენს ოპონენტებზეა,"** - აღნიშნა მან.

ხაინდრავას თქმით, ორშაბათს საქართველოს დელეგაცია ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც დაგეგმილია მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში. **"მე ევროკავშირის წარმომადგენლებთან კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების და ამ პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის პერსპექტივების განხილვას ვაპირებ,"** - აღნიშნა მან. მოლაპარაკებათა მთავარი თემა, სახელმწიფო მინისტრის თქმით, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია იქნება.

**"ორი პროექტი, რომელთა ღირებულება 2 მილიონი და 2,5 მილიონი იყო, უკვე განხორციელებულია. ეს პროექტები სამხრეთ ოსეთის სოციალური ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციას ეხებოდა. დღეს რეალიზაციის სტადიაშია ევროკავშირის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში არსებული მოთხოვნილებების შესწავლას. მისი შედეგების მიხედვით, აპრილში ბრიუსელში გაიმართება კონფერენცია, სადაც მონაწილეობას დონორები მიიღებენ. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ათობით მილიონი ევროს ღირებულების პროექტების განხორციელება. ამ პროგრამაში უკვე ჩართულია აშშ, ჰოლანდია და საფრანგეთი,"** - აღნიშნა მინისტრმა.

*24 საათი*

# "გასვლის რეჟიმი" მალე ამოქმედდება

2008 წლის ბოლოსთვის საქართველოს ტერიტორია მთლიანად გათავისუფლდება რუსული ბაზებისგან. პირველად ამჟამინდელი დისლოკაციის ადგილს დატოვებს ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზა. მძიმე სამხედრო ტექნიკის ახალქალაქიდან გატანა 2006 წლის ბოლოსთვის დასრულდება. საბოლოოდ კი ახალქალაქის ბაზა არაუგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა დაიხურება.

2008 წელს რუსეთი საქართველოდან მე-6 სამხედრო ბაზას გაიყვანს, რომელიც ბათუმშია დისლოცირებული. ამავე წელს დატოვებს საქართველოს ამიერკავკასიაში რუსული სამხედრო ძალების დაჯგუფების სამმართველოც (ГРВЗ). აღნიშნული შეთანხმების დოკუმენტს რუსი პრემიერი ფრადკოვი უახლოეს მომავალში მოაწერს ხელს, რის შემდეგაც დოკუმენტს ხელმოსაწერად მიიღებს რუსეთის პრეზიდენტი. როგორც კი აღნიშნულ დოკუმენტზე ვლადიმირ პუტინის ხელმოწერა გაჩნდება, საქართველოში განლაგებული რუსული ბაზები "გასვლის რეჟიმში" იმუშავებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთს საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანა 2 მილიარდ 167 მილიონი რუსული რუბლი დაუჯდება.

რუსეთ-საქართველოს შეთანხმების რეალიზაციისათვის თანხები უკვე გამოყოფილია. 2006 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 838, 7 მილიონი რუბლი, 2007 წელს - 820 მილიონი რუბლი და 2008 წელს - 510 მილიონი რუბლი. სულ, რუსეთის ბიუჯეტი საქართველოდან ბაზების გაყვანის ღონისძიებებისათვის 2 მილიარდ 167 მილიონ რუბლს გამოყოფს.

*24 საათი*

## უზენაესი სასამართლო აფრასიძეების განაჩენს ეთანხმება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, აფრასიძეების საქმის განხილვისას და განაჩენის გამოტანისას მათი უფლებები არ დარღვეულა.

**"ძმები აფრასიძეების დაცვის უფლებები არ დარღვეულა,"** - აცხადებს უზენაესი სასამართლოს სპიკერ-მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი. მისივე განმარტებით, აფრასიძეების საქმის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2005 წლის 14 ივლისს დაიწყო და 2006 წლის 1 მარტს დასრულდა. ნუნუ კვანტალიანის თქმით, გოჩა და შმაგი აფრასიძეებს 6 ადვოკატი იცავდა, მათ შორის - განსასჯელების მიერ არჩეული ადვოკატები: ჯანგირაშვილი, ბერაშვილი, ჭკადუა, დადვანი, გორდეზიანი და ერთი სახაზინო წესით დანიშნული დამცველი ძიმიცეიშვილი. სპიკერ-მოსამართლის განცხადებით, ადვოკატებისთვის ცნობილი იყო, რომ 1 მარტს სასამართლო პროცესი უნდა გაგრძელებულიყო.

**"ვინაიდან სასამართლოსთვის უცნობი იყო განსასჯელ აფრასიძეების ადვოკატების: ჯანგირაშვილის, გორდეზიანის, ჭკადუას, ბერაშვილისა და დადვანის გამოუცხადებლობის მიზეზი, საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურების აღკვეთის მიზნით, მიზანშეწონილად ჩათვალა საქმის განხილვის გაგრძელება"**, - განაცხადა სპიკერ-მოსამართლემ.

როგორც უზენაეს სასამართლოში აცხადებენ, განსასჯელების დაცვას სახაზინო ადვოკატი აფრასიძეებთან შეთანხმებით ახორციელებდა და ის დაესწრო კიდეც განაჩენის გამოცხადებას. უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, საქმის განხილვის პერიოდში დაცვამ წარმოადგინა საკუთარი მტკიცებულებები, მოხდა ამ მტკიცებულებების გამოკვლევა, რასაც მოწმობს სხდომის ოქმები.

ნუნუ კვანტალიანის განცხადებით, კანონის თანახმად, სხდომის ოქმები მზადდება 5 დღის ვადაში, აღნიშნული ვადა ჯერ არ გასულა და ორივე მხარეს შეუძლია ოქმებს მათი მომზადებისთანავე გაეცნოს.

შეგახსენებთ, რომ აფრასიძეებისთვის განაჩენის გამოცხადების შემდეგ მსჯავრდებულების ადვოკატებმა საგანგებო ბრიფინგი მოიწვიეს და განაცხადეს, რომ აფრასიძეების დაცვის უფლება დაირღვა. მათი ინფორმაციით, მოსამართლეთა კოლეგიამ განაჩენი პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით გამოიტანა. ადვოკატების ინფორმაციით, არ მომხდარა პროცესზე დაცვითი მხარის მტკიცებულებების წარმოდგენა, არ გამართულა მხარეთა შორის კამათი.

აფრასიძეების საქმეს გამოეხმაურა "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი თეა თუთბერიძეც და მან აფრასიძეების მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენის შესწავლა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, გოჩა აფრასიძეს - 20 წლით, ხოლო შმაგი აფრასიძეს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

*24 საათი*

## "დემოკრატიული ფრონტის" ალტერნატიული გამოძიება

თამარ მაისურაძე

*ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს უნდობლობას უცხადებს და ბოლო დროს გახმაურებული მკვლელობების გამოძიებას დამოუკიდებლად აპირებს.*

ზვიად ძიძიგურის, კობა დავითაშვილის, ბეჟან გუნავას, გოჩა ჯოჯუას, გია თორთლაძისა და გიგა ბუკიას შემადგენლობით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის პრეზენტაცია "დემოკრატებმა" გუშინ გამართეს. ჯგუფის შექმნის იდეა პარლამენტარ ზვიად ძიძიგურს ეკუთვნის, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფი, პირველ რიგში, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დეტალებით დაინტერესდება.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების დაპირებით, ისინი ეცდებიან, საზოგადოებაში არსებულ ყველა იმ კითხვას უპასუხონ, რომელიც აქტუალური იქნება. **"საზოგადოება ოპოზიციას ნდობას უცხადებს გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ მოვიპოვეთ გარკვეული ინფორმაცია, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს გადავეცით,"** - აღნიშნა ძიძიგურმა და დასძინა, რომ, გარდა ამ ფაქტისა, მონიტორინგის ჯგუფის მეორე ამოცანაა პარლამენტარ მაია ნადირაძის ქონებრივი წარმომავლობის დადგენა.



ზაურ გულაშვილის ფოტო

"დემოკრატიული ფრონტი" ბოლო დროს გახმაურებული მკვლელობების გამოძიებას დამოუკიდებლად აპირებს.

როგორც ფრაქციის წევრები აცხადებენ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში წილების სერიოზული გადანაწილება მოხდა. კერძო პირების ბიზნესების წართმევის თაობაზე და ბათუმში გამქრალი ქონების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაცია არსებობს, თუმცა არც ერთი საგამოძიებო ორგანო და საგამოძიებო სტრუქტურა ამ ინფორმაციით არ ინტერესდება. სამაგიეროდ, კობა დავითაშვილს აინტერესებს, სად წავიდა ასლან აბაშიძისთვის ჩამორთმეული ქონება, რომელიც ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა. მონიტორინგის ჯგუფი სალარო აპარატების ბიზნესითაც დაინტერესდება, რადგან ეჭვი აქვთ, რომ ამ ბიზნესში მაღალი თანამდებობის პირები არიან ჩართულები. სამართალდამცველების "გულგრილობას" კობა დავითაშვილი საჩხერეში მომხდარი დედა-შვილის მკვლელობითაც ასაბუთებს. ამ საზარელი მკვლელობის თაობაზე (დედა-შვილი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი დაანაწევრეს) დავითაშვილმა რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი პოლიციელისგან გაიგო. **"საგამოძიებო ორგანოები და თავად გამოძიება აღნიშნული საკითხის მოჩქმალვას ცდილობს"**, - აცხადებს დავითაშვილი და ამ საქმის გამოძიებას მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან ერთად გვპირდება.

**"ჩვენ ძალოვნები არ ვართ, მაგრამ გვაინტერესებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. ჩვენ არ გვაძლევენ ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯებისა და მთავრობის საქმიანობის გაკონტროლების საშუალებას. ამდენად, გადავწყვიტეთ, ვიმოქმედოთ იმ ფარგლებში, რის უფლებასაც დეპუტატის მანდატი გვაძლევს"**, - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

საგამოძიებო მონიტორინგის ჯგუფის წევრები ექსპერტებს, ჟურნალისტებსა და საზოგადოების დაინტერესებული პირებს თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ; მომავალში კი ყველა მიჩქმალულ ფაქტზე პასუხის გაცემას გვპირდებიან.

## ვიცე-პოლკოვნიკი დანაშაულში ბრალდებული

ფოთში, სამხედრო-საზღვაო ძალების მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის სამხედრო ნაწილის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე ოგანესიანი დააკავეს.

ის ეჭვმიტანილია თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ქონების მითვისებაში.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ინფორმაციით, სამხედრო მაღალჩინოსანმა დაშალა და გაასხვისა ხუთი შენობა-ნაგებობა, განზრახ მწყობრიდან გამოიყვანა საბრძოლო კატარღები.

**"მან მიითვისა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 100 ათასი ლარის ოდენობის ქონება. განზრახ დააზიანა სამხედრო ქონება, მათ შორის - საბრძოლო კატარღა. ამავე დროს გაანადგურა რამდენიმე შენობა-ნაგებობა, მიითვისა და შემდგომ გაასხვისა"**, - განაცხადა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა.

ალექსანდრე ოგანესიანს, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ექვსიდან თორმეტ წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქმეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია იძიებს. ოგანესიანი უკვე გადაიყვანეს სამხედრო პოლიციის ფოთის წინასწარი დაკავების იზოლატორში.

*24 საათი*

## გუშინ გამგებელი, დღეს პატიმარი

*შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ ხაშურის ყოფილი გამგებელი რეზო ჯობაძე სახელმწიფო ქონების მითვისებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა. ყოფილი გამგებლის დაკავება სახელმწიფო თანხების მითვისებაში დადანაშაულებული სამი პირის - თამაზ ცერცვაძის, ნოდარ გორგაძის და სოფრომ გურგენიძის დააკავებას მოჰყვა, რომლებმაც აღიარეს დანაშაული და დანაშაულში ამხილეს ხაშურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.*

თეა თედლიაშვილი

საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა რევაზ ჯობაძე 1 მარტს დააკავეს. ჯობაძეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის თანხების არასწორად გადარიცხვას და ამ გზით თანხების მითვისებაში ადანაშაულებენ. დაკავების დროს ხაშურის რაიონის გამგებელმა განაცხადა, რომ მას კანონი არ დაურღვევია და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

საოლქო პროკურატურამ ჯობაძეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და 182-ე (მითვისება) მუხლებით წაუყენა და გორის რაიონულ სასამართლოს დაკავებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, დაპატიმრების გამოყენების თაობაზე მიმართა.

**"შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის სამხარეო ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა დავიწყეთ 2005 წლის 10 მაისს. ხაშურის რაიონის 2004 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, სხვა ხარჯებთან ერთად გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბალანსზე რიცხული სხვადასხვა შენობა-ნაგებობის მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. ამით ისარგებლა რეზო ჯობაძემ და დაუკავშირდა სხვადასხვა სამშენებლო ფირმებს, რომელთა მესვეურებთან ერთადაც სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისება განიზრახა. მინდა დავძინო, რომ გამოძიების დასრულებამდე ჯობაძის მიერ მითვისებული და გაფლანგული თანხების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება,"** - განაცხადა შიდა ქართლის საოლქო პროკურორმა მიხეილ აბულაძემ.

პროკურატურის ბრალდებით, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა სამშენებლო ფირმებს დაავალა, არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო საბუღალტრო დოკუმენტებში გაეფორმებინათ, რომ ნაკისრი ვალდებულები, ვითომდა, შესრულდა. შეუსრულებელი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა - 50 ათასი ლარი - გამგებელმა და სამშენებლო ფირმებმა გაინაწილეს.

რეზო ჯობაძე შიდა ქართლის რეგიონში პირველი გამგებელია, რომელიც ფასადების და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხების მითვისების გამო დააკავეს. ფასადების რემონტთან დაკავშირებით ინფორმაციას ჟურნალისტები ყოველთვის ითხოვდნენ, მაგრამ პასუხს ვერ იღებდნენ. როგორც პროკურორმა აღნიშნა, სამხარეო ადმინისტრაციას საკმაოდ ბევრი მასალა ჰქონდა ფასადების რემონტთან დაკავშირებით და ეს მასალები პროკურატურას გადასცა. სამშენებლო ფირმების ხელმძღვანელებს, რომელთა ჩვენებებითაც ჯობაძის დაკავება მოხდა, პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. ხაშურის ყოფილი გამგებელი კი ამ ეტაპზე დუმილის უფლებას იყენებს.

პროკურატურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება სხვა დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავების მიზნით. პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ მოხდება სხვა მაღალჩინოსნების დაკავებაც. მიხეილ აბულაძის თქმით, საოლქო პროკურატურა ჯერ არ აპირებს სხვა რაიონებში ჩატარებული სამუშაოებითაც დაინტერესდეს, თუმცა, მიხეილ აბულაძე ამბობს: **"თუ ჩვენთან მოვა კონკრეტული დანაშაულის შემცველი რაიმე დოკუმენტაცია, ვალდებულები ვართ, დავიწყოთ გამოძიება, ჩავატაროთ ექსპერტიზები, დაინიშნოს რევიზიები და დადგინდეს პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხი".**

## ბორის ბერეზოვსკი კვლავ საერთაშორისო ძებნილია

რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ლონდონში მცხოვრებ ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკიზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. "ინტერფაქსი", სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იუწყება, რომ შესაბამისი მასალები ინტერპოლის ბიუროს გაეგზავნა.

წყაროს მონაცემებით, ბერეზოვსკის მიმართ სისხლის სამართლის ახალი საქმე რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 288-ე მუხლითაა აღძრული - ქმედება, რომელიც მიმართულია კონსტიტუციის დარღვევით ხელისუფლების ძალადობრივი გზით ხელში ჩაგდებისკენ.

ხუთშაბათს რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს ბერეზოვსკის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, 1 მარტს კი მისი ექსტრადიციის თხოვნით დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს.

ბიზნესმენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ახალი საქმის აღძვრის მიზეზი გახდა ინტერვიუ, რომელიც მან იანვრის ბოლოს რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" მისცა. მაშინ ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთში "ანტიკონსტიტუციური რეჟიმის" დამხობას გეგმავს და "ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩასაგდებად" ემზადება.

მოგვიანებით ბერეზოვსკის ამ გამოსვლას კომენტარი გაუკეთა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ, რომელმაც პირობა დადო, რომ ზომებს მიიღებს იმ ადამიანთა მიმართ, ვინც "დიდი ბრიტანეთის ტერიტორიას სხვა ქვეყნებში უწესრიგობის და ტერორიზმის გასაღვივებლად იყენებს".

*24 საათი*

## "დედის დღემ" პატიმრები უამანათოდ დატოვა

ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის მეშვიდე საპყრობილეში მყოფი რამდენიმე პატიმარი სასტიკად იყო ნაცემი. ნაცემი პატიმრების ოჯახის წევრებმა და ადვოკატებმა დახმარების თხოვნით სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს. მათ ომბუდსმენს მომხდარის გარკვევა მოსთხოვეს.

პატიმართა ახლობლების ინფორმაციით, გვიან ღამით, მეთერთმეტე საკანში მყოფ პატიმრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მათი მტკიცებითვე, ეს მოხდა მაშინ, როდესაც საპყრობილეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია იმყოფებოდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ინფომაციის მიღებისთანავე, მეშვიდე საპყრობილეში პატიმრები სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა თავად მოინახულა.

**"არ გამოვრიცხავ ცემის ფაქტს. ორ პატიმარს სახეზე ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება, დანარჩენები სხვადასხვა ტკივილებს უჩივიან - ამბობენ, რომ ნეკნები აქვთ დაზიანებული. ისიც მითხრეს, რომ ციხის ექიმს ისინი არ მოუნახულებია"**, - განგვიცხადა სოზარ სუბარმა.

რა მოხდა სინამდვილეში მეშვიდე საპყრობილის მეთერთმეტე საკანში და კონკრეტულად ვინ ცემა პატიმრები, ომბუდსმენმა ამის გარკვევა ვერ შეძლო. როგორც თავად ამბობს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პატიმრებმა ამ თემაზე საუბარისგან თავი შეიკავეს.

**"სხვა საკნების პატიმრებიც ვნახე, თუმცა, მომხდართან დაკავშირებით, მათგანაც ვერაფერი შევიტყვე. არაფერი ვიცით, არაფერი გაგვიგია, - ასეთი იყო სხვა საკნების ბინადართა პასუხები. გავრცელებული ინფორმაციაც გადავამოწმე, თავად დავუკავშირდი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თუმცა, როგორც გაირკვა, იმ ღამეს ბაჩო ახალაია მეშვიდე საპყრობილეში საერთოდ არ მისულა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სოზარ სუბარმა.

ომბუდსმენის ინფორმაციით, მასთან საუბრისას პატიმრები, ძირითადად, ყოფით პრობლემებზე ჩიოდნენ. როგორც სოზარ სუბარი ამბობს, პატიმრები აცხადებენ, რომ საპყრობილის რეჟიმის მცირედი დარღვევისთვისაც კი, როგორიც არის თუნდაც ერთი საკნიდან მეორეში გადაძახილი, კანონით გათვალისწინებული სასჯელის ნაცვლად, მათ ფიზიკურად უსწორდებიან. პატიმრების თქმით, უკვე სამი თვეა ისინი არ ყოფილან სასეირნოდ და აბანოში, არ აქვთ პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთები და საშუალებები (საპონი, ტუალეტის ქაღალდი, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა და ა.შ.). მათ წვერის გაპარსვის საშუალებაც კი არ აქვთ. ომბუდსმენთან პატიმრებს ჩაბნელებული საკნებისა და ამანათების მიღების პრობლემებზეც დაუჩივლიათ.

სხვათა შორის, ამანათების გადაცემის შეფერხების მიზეზით, გუშინ, საპროტესტო აქცია გამართეს სასჯელარსრულების დეპარტამენტის მეხუთე საპყრობილის პატიმრების ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა.

საპყრობილის ხელმძღვანელები ამანათების შეგზავნაზე უარის თქმის მთავარ მიზეზად "დედის დღესთან" დაკავშირებით გამოცხადებულ უქმე დღეს ასახელებდნენ.

*24 საათი*

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი............

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი............

საკონტაქტო ტელეფონი............

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ვესტიბიული);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II". (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ჭავჭავაძის 45 "სოლმეტრის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72 იურიდიული ოფისი "გაპი".

# "შესუსტებული" ლარი ექსპორტს და ინფლაციას გაზრდის

პირველი გვერდიდან

ბევრ განვითარებად ქვეყანასთან ერთად, საქართველოც ცდილობს, საკუთარი ვალუტის კურსის ზრდა და დაცემა მოთხოვნისა და მიწოდების გავლენით აკონტროლოს. მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა ვალუტის გაცვლითი კურსების უმრავლესობა ზევით და ქვევით "დაცურავს", ზუსტად ისევე, როგორც საქონლისა და მომსახურების ფასები "ცურავს" მოთხოვნისა და მიწოდების გავლენით. სანამ ქვეყანაში ვალუტის კურსის მდგომარეობა შეიცვლება, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. დღეს ექსპერტები აღარ კამათობენ იმაზე, რომ ქვეყანაში ნაციონალური ვალუტის გაძლიერება ხელს უშლის საექსპორტო ინდუსტრიის ზრდას, და პირიქით, ნაციონალური ვალუტის შესუსტება სტიმულს აძლევს ადგილობრივ წარმოებას, ხელს უწყობს საექსპორტო ინდუსტრიის განვითარებას. ამას ადასტურებს უცხოური ვალუტის ბაზარზე არსებული ტენდენციები და ვალუტის გაცვლითი კურსების რეგულირება, რომლის შესაბამისადაც საერთაშორისო ვაჭრობის დაბალანსება ხდება.

გავიხსენოთ უახლეს წარსულში ევროპის ქვეყნების მაგალითი. "24 საათთან" საუბარში საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი დიმიტრი ჯაფარიძე ამბობს: "ევროპაში ამერიკული საქონლის იმპორტის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო ევროს გაძლიერებით ამერიკულ დოლართან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ევროს შესყიდვა შესაძლებელი იყო უფრო მეტ ამერიკულ დოლარად. როდესაც ევრო გაძლიერდა და, იმავე დროს, დოლარი დასუსტდა, უკვე იმპორტი გახდა მომგებიანი. ეს ტენდენცია მსოფლიო მასშტაბით დღესაც გრძელდება. ცნობილია, რომ ნაციონალური ვალუტის კურსის შესუსტება (დაცემა) ხელს უწყობს საექსპორტო ინდუსტრიის ზრდას. ორი წლის წინ საქართველოს ფინანსისტები პანიკაში ჩავარდნენ, რადგან ლარი 1.7 ნიშნულამდე გაძლიერდა. ეს ტენდენცია ბოლო ორი წელია გრძელდება, რამაც მნიშვნელოვნად აზარალა ადგილობრივი ექსპორტიორები."



რა ფაქტორებმა განაპირობა მცურავი კურსის შემოღება და რატომ იყენებენ მას განვითარებული ქვეყნები? საერთაშორისო ბაზარზე გაცვლის დროს, გარიგების მონაწილეები სხვადასხვა ფულს, ანუ ვალუტას იყენებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოვაჭრე ამერიკულ საწარმოებს დოლარების მიღება სურთ, ქართველ მომხმარებლებს კი ლარებით გადახდა უნდათ. ამიტომ გლობალური გაცვლის პროცესში გამყიდველები და მყიდველები იოლად ახერხებენ ვალუტის გაცვლას.

ბანკირები და სავალუტო დილერები ქმნიან უცხოური ვალუტის ბაზარს (ანუ საფონდო ბირჟას). ამ ბაზარზე ყოველ ვალუტას აქვს გარკვეული ფასი, რომელსაც ვალუტის გაცვლით კურსს ეძახიან. 1944 წლიდან 70-იან წლებამდე ქვეყნების უმრავლესობა ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემას იყენებდა. ე.ი ისინი საკუთარ ვალუტას ნებისმიერ სხვა ვალუტაზე ცვლიდნენ დადგენილი კურსით (დადგენილ ფასად). მაგრამ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას სურდა, რომ მათი ფულის მიწოდება ანუ მიმოქცევაში არსებული ფულის მასა უფრო სწრაფად გაზრდილიყო. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ფიქსირებული სავალუტო კურსის პრინციპს, რომლის უცვლელად შესანარჩუნებლად ბაზარზე ფულის მასის მხოლოდ უმნიშვნელო ზრდა იყო დასაშვები.

1971 წელს პრეზიდენტმა ნიქსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები აღარ დააფიქსირებდა დოლარის ღირებულებას სხვა ვალუტის მიმართ. მის მაგალითს სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს და ე.წ. "მცურავი" სავალუტო კურსების სისტემაზე გადავიდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვალუტის ფასი აიწევდა ან დაიწევდა მსოფლიოში მასზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების შესაბამისად. თუ რომელიმე ვალუტაზე მოთხოვნა მოულოდნელად გაიზრდება, მისი გაცვლითი კურსიც შეიძლება გაიზარდოს. მეორე მხრივ, თუკი მსოფლიო სავალუტო ბაზარზე მასზე მოთხოვნა შემცირდება, დაეცემა მისი გაცვლითი კურსიც.

საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ (იმპორტი სამჯერ აღემატება ექსპორტს), აუცილებელია, ეროვნული ვალუტის კურსი შესუსტდეს, რაც ქვეყნის საექსპორტო ინდუსტრიის განვითარებას ხელს შეუწყობს. მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში ინფლაცია გარდაუვალია, რაც პანიკის საფუძველს უკვე იძლევა. ინფლაციის დადებით და უარყოფით ფაქტორებზე, შევეცდებით ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში ვისაუბროთ.

# პირველი ნავთობკონსორციუმი საქართველოში

პირველი გვერდიდან

პერსპექტივები საკმაოდ დიდია და მათი რეალიზების საშუალებაც იზრდება. წარმატების შემთხვევაში ამ კონკრეტულმა მცდელობამ შეიძლება ძირეულად შეცვალოს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა. 1 300 ჭაბურღილიდან დღეს, მაქსიმუმ, 100 ჭაბურღილია მოქმედი. არსებობს, თავის დროზე, ლიკვიდირებული ჭაბურღილების გამოცოცხლების პერსპექტივაც. ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ასათვისებელი ნავთობსაბადოა. საკმარისი რესურსია იმისათვის, რომ 2010 წლისთვის საქართველო ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნად იქცეს. მაგრამ ეს საკმაოდ კაპიტალტევადი საქმეა. ერთი საბადოს გახსნას დაახლოებით 150-200 მილიონი დოლარი სჭირდება, ასევე ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად იხვეწება.

თუ წარსულს თვალს გადავავლებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში ნავთობის მოპოვების მაღალი ტემპები არსებობდა. ქართველმა მენავთობეებმა ყველაზე დიდ წარმატებას გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიაღწიეს. 1981-1984 წლებში თელეთში მდებარე სამგორის მცირე საბადოდან ნავთობის მოპოვებამ 3 მილიონ 300 ათას ტონას გადააჭარბა. საერთოდ, საქართველოში ნავთობისა და გაზის გავრცელება რეგიონულ ხასიათს ატარებს. გეოლოგთა განმარტებით, სამგორის საბადოს მსგავსი ნავთობის მარაგი საქართველოში არსებობს, თუმცა ეს საბადოები გასახსნელია.

როგორც ამბობენ, სამგორის საბადოს პრეცედენტმა, საქართველოში ინვესტორთა ჩამოსვლა განაპირობა.

2000 წელს შემოვიდნენ დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, გერმანიის, კანადის მსხვილი ინვესტორები. თუმცა ნავთობმოპოვების ბიზნესში "ბიპის", "ტოტალის","შევრონის" მსგავსი კომპანიების ნაცვლად, საშუალო დონის ერთობლივი საწარმოები ჩამოყალიბდა, მათთვის მისაღები რისკის ფაქტორითა და მოგების მოლოდინით. ინვესტორებმა, საერთო ჯამში, 206,4 მლნ დოლარის კაპიტალდაბანდებები განახორციელეს. ათი წლის განმავლობაში გაბურღულია 35 ათასი გრძივი მეტრი და მოპოვებულია 800 ათასი ტონა ნავთობი და 135 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. ექსპერტების გათვლებით, ამ ინვესტიციების პირობებში 300-400 გრძივი მეტრის გაბურღვა იყო შესაძლებელი.

2004 წლის აპრილში კომპანია "კანარგომ" ნინოწმინდის საბადოზე ბურღვის ჰორიზონტალური მეთოდი გამოიყენა, რის შედეგადაც ნავთობის მოპოვება 89 პროცენტით გაიზარდა. ნავთობისა და გაზის სააგენტოს ინფორმაციით, ნედლი ნავთობის წლიური მოპოვება 78 ათას ტონას შეადგენდა, ამ მაჩვენებელმა 140 ათას ტონას მიაღწია.

ასეთივე სამუშაოებს აწარმოებს კომპანია "ფრონტერა" შირაქის საბადოზე. დასავლეთ საქართველოში საძიებო სამუშაოებს განაგრძობენ გერმანელები. სპეციალისტთა თქმით, "კანარგო" და "ფრონტერა" ყველაზე აქტიურად მუშაობენ. "ანადარკომ" კი თავისი წილი უკვე გაყიდა.

ნავთობი სტრატეგიული რესურსი და სახელმწიფო საკუთრებაა. დღეს საქართველოში მოქმედ 696 საბადოზე მარაგი აუდიტის მიერაა აღნუსხული. ქართველ სპეციალისტთა ერთი ნაწილს მიაჩნია, რომ აუცილებელია რესურსული აუდიტის ჩატარება და დაფიქსირებული თანხის ნავთობის მომპოვებელ სახელმწიფო კომპანიის საწესდებო კაპიტალში ჩადება, ხოლო შემდეგ კი მისი აქციების ნაწილის პრივატიზება. პროცესის ასე წარმართვას მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები სჭირდება, რომლის განხორციელების შემთხვევაში სექტორის კომერციული თვალსაზრისით უფრო მიმზიდველი გახდება.

# ტკბილი ძილი ბრიტანეთის ავიახაზებთან ერთად

ცნობილმა ედინბურგელმა ექიმმა, კრის იძიკოვსკიმ, სპეციალურად ბრიტანეთის ავიახაზების მგზავრებისათვის, შექმნა მარტივი ხელსაწყო, რომლის მიზანია ფრენის დროს გამოწვეული დისკომფორტის მაქსიმალურად შემცირება. როგორც თავად ექიმი აღნიშნავს, ადამიანის სხეულის საათი ეფუძნება ოთხ ძირითად ფაქტორს. ესენია: სინათლე, ძილი, ვარჯიში და კვება. ჩამოთვლილი ფაქტორების სწორად შერჩევით შესაძლებელია ადამიანის სწორი რეჟიმის გამოანგარიშება, რომელიც ხელმისაწვდომია ბრიტანეთის ავიახაზების ვებ-გვედზე. მგზავრმა უნდა მიუთითოს დრო, როდესაც იგი ჩვეულებრივ იღვიძებს, ასევე ადგილობრივი დრო იმ ქვეყნისა, სადაც იმყოფება და საითკენაც მიემგზავრება. ამის შემდგომ ის მიიღებს სწორ რჩევას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბორტზე, რათა თავიდან აიცილოს ფრენის დროს გამოწვეული სტრესი.

"საჭირო ინფორმაციის მითითების შემდეგ, ვებ გვერდი ავტომატურად გამოიანგარიშებს დროს, როცა მგზავრი დღის სინათლეს უნდა მოერიდოს. მაგალითად, გამოიყენოს სპეციალური ნაჭრის სათვალე, ან პირიქით, სალონში დამატებითი სინათლე გამოიყენოს - როგორიც არის საკითხავი ნათურა. ასევე მიიღებს რჩევას, როდის უნდა მიიღოს ორგანიზმმა საკვები და როდის უნდა ივარჯიშოს. ბორტზე ვარჯიშის საუკეთესო საშუალება სალონში სიარულია. თუკი მგზავრი ზედმიწევნით შეასრულებს ba.com -ის რეკომენდაციებს, ის სრულიად დასვენებული ჩავა დანიშნულების ადგილზე, თუნდაც მრავალი ქვეყნის დროის სარტყელის გადალახვა მოუხდეს"-, განმარტავს კრის იძიკოვსკი.

როგორც ბრიტანეთის ავიახაზების კომერციული დირექტორი, მარტინ ჯორჯი აცხადებს: "ბრიტანეთის ავიახაზები მგზავრების სიამოვნებისთვის მუდმივად ზრუნავს. ჩვენს ვებ-გვერდზე განთავსებული, ეგრეთ წოდებული "მრჩეველი", ამის ნათელი მაგალითია. კომპანია კვლავაც განაგრძობს მგზავრებისთვის სასიამოვნო სიახლეების შეთავაზებას".

*24 საათი*

## მოკლედ

### რკინიგზის სადგურს მალე ახალი მმართველი ეყოლება

ცენტრალური რკინიგზის სადგურის მმართველი კომპანია თვის ბოლომდე გამოვლინდება. როგორც "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს, ცენტრალური რკინიგზის ვაგზლის 49 წლის ვადით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში დაინტერესებულ პირთათვის განცხადებების შეტანის ვადა 13 მარტს იწურება. 20 მარტამდე კი სატენდერო კომისია შეიკრიბება, წინადადებებს განიხილავს და გამარჯვებულს გამოავლენს. სატენდერო პირობების მიხედვით, გამარჯვებული კომპანია ორი წლის განმავლობაში, 10 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ასევე, კომპანიამ ცენტრალური ვაგზლის შენობაში შესახლებული იძულებით გადაადგილებული პირები შესაბამისი კომპენსაციით უნდა უზრუნველყოს. **"თბილისს ორ წელიწადში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მოდერნიზებული ცენტრალური რკინიგზის სადგური ექნება,"** - განაცხადეს რკინიგზაში. **ინტერპრესნიუსი**

### ახალი წესები ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის სფეროსთვის

ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის ბიზნესის უკეთ გაკონტროლების მიზნით, მთავრობა სამეწარმეო საქმიანობის ახალი წესების შემოღების ინიციატივით გამოდის. საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტები "ნავთობპროდუქტების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის წესების განსაზღვრის შესახებ" და "თამბაქოს სფეროში სამეწარმეო საქმიანობის წესების განსაზღვრის შესახებ".

აღნიშნული კანონპროექტების მიხედვით, დაწესდება დამატებითი პირობები აქციზურ საქონელთან დაკავშირებული რთული ადმინისტრირების გამარტივების მიზნით. ნავთობისა და თამბაქოს სფეროში დასაქმებული მეწარმეები ვალდებულები იქნებიან, დადებული გარიგების შესახებ შეტყობინება ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ. ამასთან, ბიზნესმენები ვალდებულები არიან, სავალდებულო შეტყობინებასთან ერთად, ფინანსთა სამინისტროს გირაოს დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგონონ. გირაოს ოდენობა კი, საქმიანობების მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდება.

კერძოდ, იმპორტიორის მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტისა და საბითუმო მიწოდებისათვის გირაოს თანხა 100 ათასი ლარი იქნება, მწარმოებლის მიერ ნავთობპროდუქტების წარმოებისა და საბითუმო მიწოდებისათვის - 100 ათასი ლარი, პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) ნავთობპროდუქტების საბითუმო მიწოდებისათვის - 50 ათასი ლარი, ხოლო პირის მიერ ნავთოპროდუქტების საცალოდ მიწოდებისათვის (თითოეული მიწოდების ობიექტისათვის) - 5000 ლარი.

რაც შეეხება თამბაქოს სფეროს, იმპორტიორის მიერ თამბაქოს ნაწარმის იმპორტისა და საბითუმო მიწოდებისათვის გირაოს თანხა 50 ათასი ლარით განისაზღვრება, მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის წარმოებისა და საბითუმო მიწოდებისათვის გირაო ასევე 50 ათასი ლარი იქნება, პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) თამბაქოს ნაწარმის საბითუმო მიწოდებისათვის - 25 ათასი ლარი, პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საცალო მიწოდებისათვის (გარდა ქალაქებისა) - 1,5 ათასი ლარი, ხოლო პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის მიწოდებისათვის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 3 000 ლარი. აღნიშნულ კანონპროექტებში გათვლისწინებულია შეტყობინების მიღებისა და ბარათის გაცემის ზოგადი წესები, საქმიანობის განმახორციელებელი პირების უფლებები და მოვალეობები, ნავთობპროდუქტების და თამბაქოს ბიზნესში სხვა დამატებითი შეზღუდვები.

იმპორტიორები, აღნიშნული კანონპროექტების კომენტირებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ პროექტს ჯერ უნდა გაეცნონ. აღნიშნული კანონპროექტები შინაარსით ძალიან ჰგავს პარლამენტისა და ბიზნესმენების მიერ შარშან დაწუნებულ კანონპროექტებს, თუმცა მაშინ კანონპროექტები სხვა სახელწოდებით იყო წარმოდგენილი. **ინტერპრესნიუსი**

### "სამშობლოს" გაყიდვა გადაიდო

ტელეკომპანია "კავკასიის" ხელმძღვანელი ნინო ჯანგირაშვილი ამბობს, რომ გადადების მიზეზი არასამუშაო დღეა, თუმცა ეჭვობს, რომ აუქციონი შეიძლება საერთოდ ჩაიშალოს, **"ამის საფუძვლიანი მიზეზები არსებობს,"** - აცხადებს ჯანგირაშვილი. ჟურნალისტი გიგლა გობეჩია კი აღნიშნავს, რომ **"თუკი აუქციონი მაინც გაიმართება, მაშინ ამას კანონდარღვევათა ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება, რაც ხელისუფლებისთვის არასასურველ პროცესებს გამოიწვევს."** გობეჩია დასძენს, რომ გამომცემლობა "სამშობლოს" საწესდებო კაპიტალი არ გააჩნია და ამ მიზეზით მისი გაყიდვა არ შეიძლება. გობეჩიას განცხადებით, გამომცემლობა "სამშობლოს" გაყიდვის სურვილი ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს ვახტანგ აბაშიძესა და კახა იმნაძეს გაუჩნდათ **"მაშინ მათ "სამშობლოს" ხოშარაულის ქუჩაზე არსებული სტამბა ჩამოაშორეს, მისგან შპს "ნაპირი" დააფუძნეს და გაყიდვაც მოასწრეს,"** - აცხადებს გობეჩია. მისივე ინფორმაციით, ამჟამად "სამშობლოს" გაყიდვა კანონით არ შეიძლება, რადგან შენობას ყადაღა ადევს. "მართალია, ეკონომიკის მინისტრმა ეს ინფორმაციაც ჩვენგან გაიგო და საქმეში გარკვევასაც შეგვპირდა, მაგრამ უშედეგოდ," - აცხადებს გობეჩია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის თანხას გამოყოფს

აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო საქართველოს ტერიტორიაზე ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობით დაინტერესდა. ამერიკაში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელსა და აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვით სააგენტო საქართველოს ტერიტორიაზე საჭირო ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მოკვლევისთვის თანხებს გამოჰყოფს. ვიზიტის ფარგლებში ზურაბ ნოღაიდელი საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართულების ხელმძღვანელს ედვარდ ნასიმს შეხვდა. ამერიკულმა მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს ეკონომიკის დინამიური განვითარებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ კორპორაცია უახლოეს პერიოდში საქართველოში 44 მლნ. დოლარის ინვესტირებას გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს მთავრობის კანცელარია, იურიდიული მისამართი ინგოროყვას ქ. №7 აცხადებს ღია ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების ადგილი - შემსყიდველი ორგანიზაცია. ვადა - 2006 წლის ბოლომდე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს მთავრობის კანცელარია, ოთახი № 403. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: ანგ: №200122900, ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000. დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს მთავრობის კანცელარია კოდი - 2.

5. პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 24 მარტიდან 31 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 საქართველოს მთავრობის კანცელარია, ოთახი № 403. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით საქართველოს მთავრობის კანცელარიაში 2006 წლის 31 მარტის 17 საათზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

3. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამპირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელ/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

8. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გრძელიშვილი გიორგი, გაგუა დავითი, მელიქიძე ლაშა მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403. ტელეფონი 98-40-06, 99-04-53.

სატენდერო კომისია

ლოტი №1

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ქაღალდი ა4 | 41000 შეკვრა |
| 2 | ქაღალდი ა3 | 3500 შეკვრა |
| 3 | ჩასანიშნი ქაღალდი | 6500 |
| 4 | ჩასანიშნი წებვადი | 8000 |
| 5 | კონვერტი ა4 | 30000 |
| 6 | კონვერტი ა5 | 30000 |
| 7 | საკანცელარიო ჟურნალი | 2000 |
| 8 | ფაქსის ქაღალდი | 300 |
| 9 | ბაინდერი | 3000 |
| 10 | სწრაფჩამკერი | 15000 |
| 11 | ყოველდღიური | 700 |
| 12 | ფაილი | 3000 შეკვრა |
| 13 | კლიფ-ფაილი | 15000 |
| 14 | პაპკა ადრესატი | 300 |
| 15 | ორგანაიზერი | 200 |
| 16 | ფაილ-კაბინეტი | 30 |

ლოტი № 2

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | საწერი კალამი | 15000 |
| 2 | ფანქარი | 5000 |
| 3 | საშლელი | 1000 |
| 4 | წებო მშრალი | 5000 |
| 5 | შტრიხი | 4000 |
| 6 | სახაზავი | 2000 |
| 7 | სათლელი | 2000 |
| 8 | საკანცელარიო დანა | 3000 |
| 9 | სტეპლერი | 600 |
| 10 | პინი | 7000 |
| 11 | სკრეპი | 5000 |
| 12 | დირაკოლი | 400 |
| 13 | კალკულატორი | 200 |
| 14 | ჭიკარტი | 500 |
| 15 | სკოჩი | 1000 |
| 16 | სკოჩი დიდი | 200 |
| 17 | მარკერი | 20000 |
| 18 | მაკრატელი | 500 |
| 19 | ანტისტეპლერი | 600 |
| 20 | ურნა | 150 |
| 21 | ფლოპპი დისკი | 7000 |
| 22 | ლაზ. დისკი | 7000 |
| 23 | მაგიდის კალენდარი | 200 |
| 24 | კალენდრის დაფა | 100 |
| 25 | კედლის კალენდარი | 50 |

მოკლედ

# მინოუგის ფორმულა ბიჭები

*ავსტრალიელი მომღერალი დანი მინოუგი, ცნობილი კაილი მინოუგის ნაკლებად ცნობილი უმცროსი და, ყურებამდეა შეყვარებული. არ იკითხავთ ვისზე? ფორმულა 1-ის დევიდ ბექჰემზე, როგორც მას სხვაგვარადაც უწოდებენ - BAR-ის საჯინიბოს ინგლისელ მრბოლზე ჯენსონ ბატონზე. ალბიონელზე სხვაც ბევრია შეყვარებული, მაგრამ სხვაობა ისაა, რომ ბატონიც ასეთივე გრძნობებშია ჩაფლული.*



*დანი მინოუგი ფორმულა 1-ის პილოტებს "დაერია".*

გიგა გურასაშვილი

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ავსტრალიელი მომღერალი სამეფო რბოლების პილოტზეა გულში დაჭრილი. უწინდელ სიყვარულსაც სპორტის უსწრაფეს სახეობასთან მიყავართ. რამდენიმე წლის წინ უმცროსი მინოუგი კანადელ ჟაკ ვილნევს ხვდებოდა. პაემნები და დროის ერთად გატარება კიდევ რბილი ნათქვამია - მათი ურთიერთობა იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ შეუღლებაზეც კი ფიქრობდნენ. თუმცა, სიყვარული ხანმოკლე გამოდგა. მომღერალ-პილოტის წყვილი ვერ შედგა. მიუხედავად ამისა, მინოუგი დღემდე ტკბილად იგონებს ვილნევთან გატარებულ დღეებს: "როდესაც ჟაკს ვხვდებოდი, ნამდვილ აღმაფრენას ვგრძნობდი. მისმა სიყვარულმა ჩემს შემოქმედებაზე დადებითად იმოქმედა. სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე დასრულდა".

საინტერესოა, დანი მინოუგის ასეთი აღიარების შემდეგ რა ჭკუაზეა ბატონი. რაც არ უნდა იყოს, ბრიტანელსაც ჰყვარებია კაილის დაიკო...

ერთი სიტყვით, ავსტრალიელმა მომღერალმა ბატონის სახით ახალი სიყვარული შეიძინა. ამასთან, ირკვევა, რომ სამეფო რბოლების "სიმპატიაგა" კაი ხანია ჰყვარებია.

"არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდება ჩვენი რომანი, მაგრამ ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობ. სულ რამდენიმე კვირაა ერთად ვართ. ჟაკი? თითქმის დავივიწყე. მართალია, შეხვედრისას ერთმანეთს ვესალმებით, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ მიდის".

ინგლისური ტაბლოიდებიც გვარწმუნებენ, რომ ჯენსონი და დანი ერთმანეთთან თავს ბედნიერად გრძნობენ, დღედაღამ ერთად არიან, გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, შიგადაშიგ "ფანჯარას" პოულობენ და სიყვარულს ეძლევიან.

მინოუგმა გადატვირთული გრაფიკი მერე ნახოს, როდესაც "დიდი პრიზები" აგუგუნდება. შეგახსენებთ, რომ მალე სტარტს აიღებს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი - 12 მარტს "ბაჰრეინის დიდი პრიზია".

### 14 ათასი 14 საათში. ანშლაგია, ანშლაგი!

ყველა - 14 ათასივე ბილეთი გაყიდულია. მძიმეწონოსან ვლადიმირ კლიჩკოსა და ამერიკელ კრის ბერდის შერკინებაზე დასასწრები ბილეთები სულ რაღაც 14 საათში გაიყიდა. უკრაინელისა და ამერიკელის შერკინება იმითაა აღსანიშნავი, რომ კრივის მსოფლიო ფედერაცია (IBF) კლიჩკოსა და ბერდს შორის მსოფლიო ჩემპიონს გამოავლენს. სატიტულო ორთაბრძოლა გაიმართება 22 აპრილს დასავლეთ გერმანიის ქალაქ მანჰაიმში. "კრივის გულშემატკივართა აქტიურობა ორთაბრძოლის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამასთან, იმაზეც, რომ მე და კრისი ცნობილი ვართ არა მარტო აშშ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში", - ამბობს კლიჩკო. 5 მარტს 29 წლის ვლადიმირ კლიჩკო საკუთარ მწვრთნელთან ემანუელ სტიუარდთან ერთად მალიორკაზე მიფრინავს, სადაც კრის ბერდთან შესახვედრად მზადების ძირითად ეტაპს გაივლის. უკრაინელისა და ამერიკელის ეს მატჩი რიგით მეორე იქნება. მოგეხსენებათ, 2000 წლის ოქტომბერში კლიჩკომ (უმცროსმა) ქულების დამაჯერებელი ოდენობით იმარჯვა ბერდზე და კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ტიტულს დაეუფლა. თუმცა, 2003 წლის 8 მარტს ჰანოვერში სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან ჩემპიონის წოდება ვეღარ დაიცვა.

### ტრანსფორმირებული კურნიკოვა შოლტივითაა

მითქმა-მოთქმა, ანა კურნიკოვა მომღერლობას აპირებსო, მცდარია. თუ გადასაღებ მოედანზე მნახავთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლიპში გადასაღებად მიმიწვევენ, მაგალითად, ენრიკე იგლესიასთანო. "ზუსტად ვიცი, რომ სიმღერა არ შემიძლია. ჯობია, ეს სხვებმა გააკეთონ. მხოლოდ ვიდეოკლიპებში თუ გამოვჩნდები", - წერს ბრიტანული გაზეთი "დეილი სთარი" კურნიკოვასთან გუშინდელ ინტერვიუში. 2004 წელს ჩოგბურთიდან წასული კურნიკოვა მიიჩნევს, რომ მას გარეგნობამ შეუწყო ხელი თავი აერიდებინა მომქანცველი ვარჯიშებისთვის. "ჩემმა ფორმებმა ტრანსფორმაცია განიცადა. მხრები დამიპატარავდა, ხოლო ტანი და ფეხები უფრო ჩამოქნილი გამიხდა. ამით ძალიან კმაყოფილი ვარ, - ამბობს 24 წლის ყოფილი ჩოგბურთელი, - როდესაც ვთამაშობდი, საკუთარ გარეგნობაზე ნაკლებად ვფიქრობდი, რადგან ყოველდღიურად 6-8 საათს ვვარჯიშობდი". მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც ჩოგანი საბოლოოდ შეინახა, ძირეულად შეიცვალა კვების რეჟიმი. თუ ადრე 4 ათასამდე კალორიას იღებდა, ახლა ეს მაჩვენებელი განახევრებულია.

კრივი

# კონსტანტინ ცზიუ: "რინგზე სიკვდილს არ ვაპირებ"

მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში კონსტანტინ ცზიუ რუსეთში დაბრუნდა. გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდასთვის" მიცემულ ინტერვიუში 35 წლის მოკრივე საუბრობს რიკი ჰატონთან დამარცხების მიზეზებზე, თავის მომავალ გეგმებსა და სპორტული კარიერის შესაძლო დამთავრებაზე. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ ინტერვიუდან.

**- სამი თვის განმავლობაში მოასწარით ჰატონისგან ნაწვნევი მარცხის დავიწყება?**

- ასეთი მომენტები არ გავიწყდება. ცხოვრებაში რაც ხდება, შემთხვევითი არ არის. საჭიროა იპოვო მიზეზი, რომელმაც ჩავარდნა გამოიწვია, რათა მომავალში შეცდომებისგან დაზღვეული იყო.

**- გაარკვიეთ, რა იყო შეცდომის მიზეზი? გააანალიზეთ ბრძოლის ვიდეოჩანაწერი?**

- ჯერ არა. სიმართლე გითხრათ, არ ვჩქარობ ამ ბრძოლის მეორედ ნახვას. ამის გაანალიზებისთვის საჭიროა რაღაც დრო კიდევ გავიდეს.

**- ჰატონთან ბრძოლის 11 რაუნდის შემდეგ თქვენმა მწვრთნელმა ჯონი ლუისმა ბრძოლა შეწყვიტა. შეგეძლოთ თუ არა, რომ მწვრთნელის სიტყვა არ გაგეთვალისწინებინათ?**

- რაკი დავეთანხმე, ესე იგი, შინაგანად მქონდა განცდა, რომ ასეა საჭირო. რამდენიმე წლის წინ ვთქვი, სჯობს რინგზე მოვკვდე, ვიდრე ასე უსახელოდ წავიდე-მეთქი. როგორც ჩანს, მას შემდეგ ჩემი პოზიცია შეიცვალა. მე არ მინდა მოვკვდე, რადგან შვილები მყავს. ახლა მე დასაკარგი მაქვს და ღრმად ვარ დარწმუნებული, ცხოვრებაში კრივზე უფრო მნიშვნელოვანი რაღაცები არსებობს.

**- თქვენ 1985 წლიდან აწარმოებთ დღიურს. ჰატონთან მარცხის შემდეგ იქ რა ჩანაწერი გაჩნდა?**

- საკუთარი თავი უშვერი სიტყვებით გამოვლანძღე. ეს იყო და ეს. სრული დატვირთვით ვემზადებოდი. თუმცა არსებობს ისეთი განსაზღვრება, როგორიც არის შედეგი. ის კი საკმაოდ უიღბლო გამოდგა.



**- ეს სამი თვე როგორ გაატარეთ?**

- შესანიშნავად. ოჯახთან ერთად კუნძულ ბალიზე ვიყავი. მშვენივრად დავისვენეთ. ჩემს შვილებს უფრო დავუახლოვდი. სხვა დროს ხომ ვერ მხედავენ. სკოლაში დილის 9 საათისთვის მიდიან. ამ დროს მე მძინავს, რადგან ძალიან ადრე ვდგები, ვსაუზმობ, პირველ ვარჯიშს ვატარებ და შემდეგ ვისვენებ. როცა ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან, მე უკვე მეორე ვარჯიში მაქვს და ასე შემდეგ. სიმართლე გითხრათ, ჩემი შვილებს ვერ ვხედავ. არადა, უფროსი, ტიმოხა, უკვე 11 წლისაა! შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც სპორტულ კარიერას გამოვეთხოვები.

**- ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენ ბანაკში აზრი როგორ გაიყო? ცნობილია, რომ მამათქვენი კარიერის გაგრძელების მომხრეა, მწვრთნელი - პირიქით, ხოლო მეუღლე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს.**

- ამას ნეიტრალიტეტს ვერ დავარქმევდი. ისიც უარზეა. ჩვეულებრივ, ბრძოლის შემდეგ ერთი თვე გადის და ნატაშა მეუბნება: "მორჩა, ვარჯიშის დროა. წადი სახლიდან!" ახლა უკვე სამი თვე გავიდა, მაგრამ ის სახლიდან არ მაგდებს. ესე იგი, ჯერ კიდევ არ მოვწყინდი.

**- თქვენი ახალი ცხოვრების სტილი მოგწონთ?**

- ახლა ის მაინც შემიძლია, შვილები და მეგობრები მარტო შაბათ საღამოს კი არა, სხვა დღეებშიც ვნახო. ახლა უამრავი პროექტი მაქვს. ხელი მოვაწერე სატელევიზიო შოუში მონაწილეობაზე - "ცეკვები ვარსკვლავთან" - ეს ავსტრალიაში ძალიან პოპულარული გადაცემაა. მე ვიცეკვებ პროფესიონალ მოცეკვავე ლუდასთან. მეუღლე წინააღმდეგი არ არის. ამასთან, თავის ფილმში მთავარი როლი შემომთავაზა ალექსანდრ აბდულოვმა. ბოლოს და ბოლოს, გასაყიდად გამოიტანენ ენერგიის მომნიჭებელ სასმელს "ცზიუ".

**- ახლა თქვენი დროის დიდ ნაწილს მოსკოვში კი არა, მის შემოგარენში ატარებთ.**

- ხანტი-მანსიისკში იჩხუბებენ ჩემი "კრივის აკადემიის" აღზრდილები ანტონ სოლოპოვი და ვიქტორ ოგანოვი. ეს იქნება ჩემი დებიუტი მენეჯერის რანგში. ავსტრალიაში მათთვის მეტოქეების გამონახვა მიჭირს.

ჰოკეი

# სიურპრიზი

### შვედ ჰოკეისტებს ოლიმპიურ ოქროს ართმევენ?

ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ჰოკეიში შვედეთის გუნდმა შეიძლება ოქროს მედალი დაკარგოს. შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, ჰოკეისტებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) სპონსორული შეთანხმება დაარღვიეს. ასე რომ, თუ საქმე მსვლელობას მიიღებს და "ტრე კრუნურის" მიმართ სანქციებს გამოიყენებენ, ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები ფინელებს გადაეცემათ.

სკანდალი მას შემდეგ გაღვივდა, რაც გაირკვა იმ ბანკეტის დეტალები, რომელშიც შვედმა ჰოკეისტებმა სტოკჰოლმში ორშაბათ ღამით მიიღეს მონაწილეობა.

როგორც ცნობილია, მთელმა რიგმა ჰოკეისტებმა ჩრდილოეთ ამერიკაში დაბრუნებამდე გადაწყვიტეს ჯეროვნად აღენიშნათ ოლიმპიადის მოგება. ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ და სტოკჰოლმში გადაწყვიტეს მოლხენა. ამ საქმის მთავარი ინიციატორები გუნდის ლიდერები, NHL-ში მოთამაშე მათს სუნდინი და პეტერ ფორსბერგი იყვნენ.

საზეიმო დაჯილდოების შემდეგ ისინი სასწრაფოდ სტოკჰოლმში გაემგზავრნენ, სადაც "მედბორგარპლატსენში" პომპეზურად აღნიშნეს გამარჯვება. ყველაფერი ძალიან ვიწრო წრეში მოხდა. ბანკეტში მონაწილეობა მიიღეს შვედეთის ჰოკეისტთა ნაკრების სპონსორებმა, რაც სოკ-ის წესდების უხეში დარღვევაა. ამ წესდების მიხედვით, ოლიმპიური სეზონის პერიოდში თამაშების მონაწილენი ვალდებულნი არიან, მხოლოდ სოკ-ის სპონსორებს გაუკეთონ რეკლამა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკეტი ოლიმპიური თამაშების დახურვის შემდეგ გაიმართა, წესდება დაირღვა, რადგან ოლიმპიადის სეზონი ოფიციალურად პირველ მარტს დასრულდა.



*შვედებმა სოკ-ის წესდება დაარღვიეს?*

შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა სტეფან ლინდებერგმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია ყველა ღონეს იხმარს, რათა შვედეთის ჰოკეისტთა ნაკრებმა ოლიმპიური ოქროს მედლები შეინარჩუნოს. ამასთან, მან აღნიშნა, რომ შვედეთის ოლიმპიურ კომიტეტს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, რადგან ეს ჰოკეისტთა ჯგუფის პირადი ინიციატივა იყო. მათ ბანკეტს არაეთიკური აფიშირება არ გაუკეთეს და ხარჯიც თვითონ გაფარეს. მაგალითად, სუნდინმა, კანადაში დროზე რომ დაბრუნებულიყო, თვითმფრინავი დაჯავშნა და ამისთვის, ზოგიერთი მონაცემით, 150 ათასი დოლარი დახარჯა.

"შვედეთის ჰოკეისტთა კავშირმა სპონსორებთან დაკავშირებით მართლაც შეგვიქმნა პრობლემები, თუმცა, ჩვენ ამასთან არავითარი კავშირი არ გვაქვს", - ნათქვამია შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაში.

თავის მხრივ, შვედეთის ჰოკეისტთა კავშირის პრეზიდენტი ბანკეტის გამო ვერავითარ კრიმინალს ვერ ხედავს. "ტურინიდან წამოვედით და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან ჩვენი ვალდებულებები ამით ამოიწურა", - განაცხადა კავშირის პრეზიდენტმა კრისტერ ენგლუნდმა.

სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი შვედი გუნილა ლინდბერგი მიიჩნევს, რომ "ტრე კრუნური" არ დაისჯება. "რა თქმა უნდა, სოკ-ის წესდება უნდა დავიცვათ, მაგრამ ჰოკეისტებმა ხომ არც ისე სერიოზული დარღვევა ჩაიდინეს. თანაც, ახლა არავის სურს შეცვალოს შეჯიბრების შედეგები", - განაცხადა ლინდბერგმა.

შეგახსენებთ, რომ ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე სოკ-ის სპონსორული შეთანხმება რუსეთის ნაკრებმაც დაარღვია, რომლებსაც თითქმის ყველა ინტიმურ ადგილზე ჰქონდათ გამოფენილი თავიანთი სპონსორის ემბლემა, მაგრამ ამისთვის რუსები არ დასაჯეს და ეს ფაქტი მხოლოდ გაუგებრობად მიიჩნიეს.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს მთავრობის კანცელარია, იურიდიული მისამართი ინგოროყვას ქ. №7 აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| № | ლოტი | საწვავი | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | №1 | პრემიუმ-აი-95 | 370 000 ლიტრი | შემსყიდველი ორგანიზაცია | 31.12.2006 წელი |
| 2 | №2 | დიზელი | 40 000 ლიტრი | შემსყიდველი ორგანიზაცია | 31.12.2006 წელი |

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 საქართველოს მთავრობის კანცელარია, ოთახი №403. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

3. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: ანგ: № 200122900, ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000. დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს მთავრობის კანცელარია კოდი - 2.

4. პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 24 მარტიდან 31 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 საქართველოს მთავრობის კანცელარია, ოთახი №403. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, 2006 წლის 31 მარტის 17 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემაულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

3. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელ/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

7. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

8. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გრძელიშვილი გიორგი, გაგუა დავითი, მელიქიძე ლაშა მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06, 99-04-53.

*სატენდერო კომისია*



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ოლე, ოლე, ოლე, ოლე!..

მოდით, ერთად ვაღიაროთ, რომ რევოლუციის შემდგომ მიღწევათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი, აღსანიშნი, დასაფასებელი ქართული პოლიციის რადიკალური სახეცვლილება იყო: წლების განმავლობაში ყველაზე მანკიერმა, კორუფციაში ჩამხრჩვალმა, უკანონობისგან გახრწნილმა, დისკრედიტებულმა უწყებამ საზოგადოების თვალში ავტორიტეტის, ნდობის არა დაბრუნება (საიდან უნდა დაებრუნებინა, თუ არც ჰქონია?), არამედ ნულიდან მოპოვება, სრული რეაბილიტაცია ნაბიჯ-ნაბიჯ მოახერხა. ნებისმიერი სპეცოპერაციის, ნარკოტიკების ამოღების, დამნაშავეთა დაკავების კანონიერებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ჩვენთვის სრულიად უჩვეულო, უცხო სიტყვები "პატრული", "პოლიცია", "სოდ"-ი და ა.შ. ხმარებაში შემოვიდა, რომელთა ნაცვლად წლების განმავლობაში ერთი მარტივი, შეურაცხმყოფელ-დამცინავი ზედმეტსახელი "ძაღლები" იხმარებოდა. "ძაღლი" იყო ყველა, ვინც პოლიციაში მსახურობდა, რიგითი მძღოლიდან დაწყებული, თვით მინისტრით დამთავრებული და საზოგადოებამ ზუსტად იცოდა, რომ ამ იერარქიული კიბის თითოეული ჩინოსანი სამართალდამრღვევი, კრიმინალი, ნარკოტიკების მომხმარებელ-გამსაღებელი, ადამიანთა გამტაცებელი, გამომძალველი, მკვლელი, სადისტი თუ უბრალოდ კლასიკური მექრთამე თავად იყო. საზოგადოებამ თითოეული იმ რაიონული პოლიციის უფროსის, რიგითის თუ მინისტრის მოადგილის სახელი იცოდა, ვინც უპრობლემოდ, მაგრამ ბევრს იღებდა, ვინ იჩხირავდა, წამალზე იჯდა, ბარიგობდა, ვინ რომელი რესტორნის კუპეში ვის გარემოცვაში ქეიფობდა, გადამთვრალი ტაბელური იარაღით უმისამართოდ ისროდა, ხალხს აწიოკებდა და დესერტად კი კამერებში პატიმრებთან შედიოდა და სცემდა, აწამებდა, გულიანად სადისტობდა. წლების განმავლობაში ეს ყველასათვის ცნობილი იყო და სწორედ ამიტომ პოლიციის რიგების წმენდას, კორუფციასთან ბრძოლას, გათავხედებული, ყოვლისშემძლე "ძაღლების" დასჯას, მთლიანად პოლიციური სისტემის რეფორმირებას საზოგადოება ასეთი მონდომებითა და მხარდაჭერით, იმედით შეხვდა. სახედაკარგული პოლიციის გარდაქმნა ზოგადად ქვეყნის გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იყო აღქმული. მე არც პირველი და არც, მით უმეტეს, ერთადერთი ვარ, ვინც პოლიციაში მიმდინარე ცვლილებები, მიღწეული შედეგები დაინახა, დააფასა და ხალისით საჯაროდ აღნიშნა. საქართველოს პრეზიდენტიდან დაწყებული, ბოლო ქუჩის ბიჭით დამთავრებული, პოლიციაში კორუფციის, თანამდებობების გაყიდვის, ნარკოტიკებით ვაჭრობის, სასტიკი ცემების, წამლისა და იარაღის ჩადების პრეცედენტების შემცირებას, აღმოფხვრას, პატრულის მუშაობის ოპერატიულობასა და ხარისხს, გახსნილ ურთულეს საქმეებს, კანონიერ ქურდებთან ბრძოლის სისწორესა და ეფექტურობას ყველა აღნიშნავდა, ყველა აქებდა. აძლევდათ ხელს ეს თუ არა, ხალისით თუ უხალისოდ, მაგრამ ყველა აღიარებდა, რომ ქართული პოლიცია, როგორც იქნა, კანონისა და საზოგადოების დამცველ, ნორმალურ პოლიციას დაემსგავსა და არა იმ ქუჩის ძაღლებს, რომლებიც წლების განმავლობაში განუკითხავად დათარეშობდნენ და საზოგადოებაში ზიზღნარევ შიშსა და უპატივცემულობას იწვევდნენ.

არ ვიცი ზუსტად როდის, რომელ დღეს, რომელი კონკრეტული გახსნილი საქმის შემდეგ, მაგრამ გაჩნდა რწმენა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის საკმაოდ ხშირ ბრიფინგებში გულახდილობა, სიმართლე სჭარბობს; რომ დიდი ოდენობით ამოღებული და ჩვენთვის ნაჩვენები ნარკოტიკი განადგურებული და არა პოლიციელების მიერვე მეორე წრეზე იქნება გაშვებული; რომ მძიმე დანაშაულზე დაჭერილი ათასობით დოლარის გადახდის შემდეგ ხვალ ქუჩაში აღარ შეგხვდება; რომ ამოღებული იარაღი ან ნარკოტიკი მართლაც დაკავებულს ეკუთვნოდა; რომ სპეცოპერაციის დროს გახსნილი ცეცხლი, მოკლული ეჭვმიტანილი კანონის ფარგლებში ერთადერთი, აუცილებელი, გამოსავალი იყო. ურწმუნოებისგან, უიმედობისგან დაღლილ საზოგადოებას პოლიციამ ოპტიმიზმის საფუძველი მისცა და რეაქციამაც არ დააყოვნა.

მაგრამ ქართველებს ერთი საკმაოდ უცნაური თვისება გვახასიათებს: სულელურ, თუმცა ძლიერ ტიპურ მაგალითს მოგიყვანთ. როგორც კი ახალი რესტორანი იხსნება, კარგად მუშაობს და მუდმივ კლიენტურას იძენს, მეპატრონე მომსახურებას ლოგიკურად კი არ აუმჯობესებს, არამედ საკუთარი ბიზნესის წარმატებულობას უცაბედად იჯერებს, იფერებს და ყველაფერს აუარესებს. ეტყობა, ჩვენი ნაქები პოლიციის საქმეც, სამწუხაროდ, ასეა. ვაქეთ, ვადიდეთ, კომპლიმენტები არ დავიშურეთ და, ეტყობა, გადავაჭარბეთ. პოლიციამ იოლად დაიჯერა, რომ მიღწეული წარმატებებით ერთადერთი და განუმეორებელი, უკვე სრულიად კრისტალური, ყოვლისშემძლეა და თავში აუვარდა, აიშვა და დაავიწყდა, რომ იგი საზოგადოების დასაცავად არის დაქირავებული და არა პირიქით, საზოგადოება მათ მიერ აპლოდისმენტებისთვის დაქირავებული მაყურებელია. სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში სხვადასხვა სპეცოპერაციის ჩატარებისას, დამნაშავეთა დაკავებისას, ეჭვმიტანილთა ადგილზე ლიკვიდირებისას სისასტიკის, დაუნდობლობის, კანონის დარღვევის, იარაღის აშკარა დადების, წამლის ჩადების, ცემის წარსულში ასეთ ნაცნობ მეთოდებს სულ უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ. ეგება, უბრალოდ გვეჩვენება, მაგრამ ერთი წლის წინ რატომ არ გვეჩვენებოდა? რომელიმე კონკრეტულ დანაშაულზე, მომხდარ ტრაგედიაზე, საზარელ მკვლელობაზე საუბრისას სულ უფრო ხშირად გვესმის წარსულში ასე ტიპურად ხმარებული, ყველასათვის ნაცნობი, გასაგები ტერმინები "ძაღლური მეთოდი", "ძაღლური ხელწერა", "ძაღლის ჰაბიტუსი", "ამას მხოლოდ ძაღლი თუ გააკეთებდა", "ძაღლები გაცოფდნენ" და ა.შ. რატომ იყო ეს გამოთქმები ერთი-ორი წელი ხმარებიდან ამოღებული და დღეს კვლავ რატომ გაჩნდა?

ამიხსენით, რატომ? ნუთუ თავის თავის ადამიანებად აღქმა სულ რამდენიმე წელიწადში მობეზრდათ? ნუთუ ამდენმა ქებამ, დაფასებამ, წახალისებამ ასე იოლად დაახვია თავბრუ, რეალობის შეგრძნება დააკარგვინა? ნუთუ ყველაფერი, რაც პოლიციაში დღემდე გაკეთდა, ცალკეული "ძაღლების" თავხედობას, სისასტიკესა და სრულ დეზორიენტაციას უნდა შეეწიროს? ერთპიროვნული სადიზმის ან, თუ გნებავთ, ღორობის გამო საზოგადოებაში, ჩემში გაჩენილი იმედის გათელვის უფლება ვის აქვს? ვინ არიან ისინი, ვინც დღევანდელ პოლიციას დისკრედიტაციას უწევენ - ძაღლური ატავიზმები თუ კლასიკური მოღალატეები? პატრულის ახალგაზრდა, ზრდილობიანი, სასიამოვნო შესახედაობის თანამშრომელი ან უბნის ინსპექტორი რას გვიშველის, თუ პოლიციის მაღალჩინოსნების მხრიდან სრულიად დაუცველად ვიგრძნობთ თავს? "ადგილზე ლიკვიდაციის" არაოფიციალურად გაცემული ბრძანების ზღვარი სად გადის, ვის მიერ კონტროლდება? მისი კანონიერების გარანტიას ვინ იძლევა? ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ პოლიტიკოსებისა და საზოგადოების მიერ წამოწყებული საზარელი მკვლელობის გამოძიებას პოლიცია დაასწრებს, გამოიძიებს, თავის საქმეს გააკეთებს და ნებისმიერი სახელისა და გვარის, ჩინის მქონე დამნაშავეს სასტიკად დასჯის? ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ პოლიცია დაგვიცავს და არა დაგვატერორებს, რომ ხმაურიანი საქმეების არგახსნით, თვალებზე ხელის აფარებით, ორმაგი სტანდარტით თავის ძველებურ, სრულიად ანომალურ კალაპოტს ნელნელა არ დაუბრუნდება? დღეს, როდესაც საზოგადოებამ ჭეშმარიტი პოლიციის გემო გაიგო, ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ ჩვენი იმედები არ გაცრუვდება?

მომეცით გარანტია, დამარწმუნეთ (მე ხომ ასე მინდა დავიჯერო!), რომ ყოფილი ძაღლების კანონმორჩილ პოლიციად გადაქცევა რეალობაა და ერთ მშვენიერ დღეს მშვენიერი მირაჟივით საბოლოოდ არ გაქრება.

P.S. ფეხბურთის მოყვარული არ ვარ, მაგრამ ვიცი, გულშემატკივრები ფეხბურთელებს "ოლე, ოლე"-თი რომ ახალისებენ. ხოდა, მეც პოლიციას "ოლეს" შევძახებ.

თბილისში ნარკოტიკის შეძენა ყველა უბანში, ნებისმიერ ქუჩაზე, სკვერში, კუთხეში თუ სუპერმარკეტშიც რომ შეიძლება, კი ვიცოდით, მაგრამ ამ კვირაში ეს ტელეეთერითაც დაგვიდასტურეს. ბარნოვის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან ერთ-ერთ ოცდაოთხსაათიან აფთიაქში წამალი უპრობლემოდ რომ აიღება, ამას მე გეუბნებით და თუ არ გჯერათ, "დვიჟენიას" ცოტა დააკვირდით და თქვენც დარწმუნდებით.

სალარო აპარატების თემაზე მთელ საქართველოს მოდებულ მასობრივ გამოსვლებს, უკმაყოფილების ტალღას დამაფიქრებლად ორგანიზებული, პოლიტიზებული და პროვოკაციული ფორმა აქვს და შეიძლება მეჩვენება, მაგრამ მგონია, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მილიონების სუნი უდის.

არ მეთანხმებით, რომ ინგა გრიგოლიას ავადმყოფობის პერიოდში ქართული ტელეეთერი საგრძნობლად დაცარიელდა, გაღარიბდა. ინგას შეიძლება ეთანხმებოდე, შეიძლება არა, მის პოზიციას შეიძლება იზიარებდე, შეიძლება არა, მაგრამ უმაგისოდ ტელესივრცე მოსაწყენი რომ გახდა, ფაქტია.

ამ კვირაში ხელოვნების მუზეუმში გახსნილი გამოფენის "გენდერი და ხელოვნება" ნახვას ყველას გულწრფელად ვურჩევ. არის რაღაცა ტიპის ექსპოზიციები, რომლებიც ქვეყნის კულტურაზე, ტრადიციაზე, სიმდიდრეზე, ამ ექსპოზიციის ავტორებსა და მუზეუმის დონეზე მეტყველებს, რომელთა ნახვის შემდეგ სიამაყითა და სულიერებით კიდევ უფრო ივსები, რომელთა ნახვა, მე მგონი, ყველასათვის აუცილებელი თუ არა, სასურველი მაინც არის.

# "ისპანახობა"











უძველესი ქართული ტრადიცია "ისპანახობა" დღევანდელ, 21-ე საუკუნის საქართველოში ქართულ-ამერიკულმა ოჯახმა აღადგინა, ტრადიციად აქცია. რუსიკო ამირეჯიბი-მალენი და მარკ მალენი აგერ უკვე მეორე წელიწადია, თბილისის ულამაზესი ხედითა და ინტერიერის სიმყუდროვით გამორჩეულ ე.წ. "ბეტსის" სასტუმროში "ისპანახობას" აწყობენ, მეგობრებს, პოლიტიკოსებს, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, დიპლომატებს, ბიზნესმენებს, საკუთარ შვილებსა და მათ მეგობრებს, ნათესავებსა და კოლეგებს პატიჟებენ, ისპანახისგან დამზადებული ათასგვარი უგემრიელესი ევროპულ-ამერიკულ-ქართული კერძებით უმასპინძლდებიან და ისეთ დემოკრატიულ, უშუალო, თბილ გარემოსა და ხალისიან განწყობას სთავაზობენ, რომელიც ამგვარი "სვეცკი" მიღებებისთვის არც ისე დამახასიათებელია. მრავალენოვანი საუბრები, გულიანი სიცილი, ჩოხებში გამოწყობილი მამაკაცების ნაწილი, შოტლანდიურ ნაციონალურ კოსტიუმში ჩაცმული ინგლისის ელჩი, უჰალსტუხო მთავრობა, ჰალსტუხიანი ოპოზიციონერები, ელეგანტური, საგანგებოდ გამოპრანჭული ქალბატონები, ხევსურ გოგოებად მოკაზმული მიმტანები, ჭიქით ხელში მოსიარულე და არაფრისმთქმელი ღიმილით მოღიმარე უცხოელები, მცირერიცხოვანი სავარძლების სახელურებზეც კი ჩამომჯდარი ქართველები (ჭამა-სმისას მაინც ჯდომა გირჩევნია), მომხიბვლელი თინეიჯერები, ვარდისფერბაბთებიანი, თოჯინის მსგავსი მარკისა და რუსიკოს უმცროსი ქალიშვილი და უხვად მორთმეული ღვინის შედეგად საღამოს მეორე ნახევარში ქართულ მუსიკაზე ცეკვა. ასეთი იყო წლევანდელი "ისპანახობა", რომელიც განათებული თბილისის ფონზე მიმდინარეობდა და ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილისა და მასპინძლების ძალისხმევის ხარჯზე თითოეულ სტუმარს სასიამოვნოდ გატარებული საღამოს შეგრძნებას უჩენდა.

# მუდმივად რევოლუციონერი



1993 წლის ფოტოები.



"ირაკლი ჩარკვიანი ღრმა კომუნიზმშიც, უძრაობის ხანაშიც, перестройка-შიც, ეროვნულ მოძრაობაშიც, მიძინებულობაშიც და რევოლუციაშიც, ყოველთვის რევოლუციონერი იყო. ეს მისი ხასიათის, ნიჭის, გენეტიკის, მეამბოხე სულის თვისებაა. ირაკლის თაობაში შეიძლება ბევრი იყო ასეთი, მაგრამ ზოგიერთი დახვრიტეს, ზოგიერთი დაიჭირეს, ზოგიერთი ბიუროკრატი გახდა, ზოგიერთი ნარკომანი, ზოგიერთი ოჯახის მამა და ზოგიერთი ხელისუფალი. ირაკლი კი დღესაც იბრძვის იმ ღირებულებების დასაცავად, რომლებიც მისთვის ყველაზე ძვირფასია და რომლებიც არანაირ დროში არ გაცვდა. ნაღდი, ბუნებრივი არ ცვდება, ის შენშია და შენ წარმოგადგენს. ირაკლი ჩარკვიანს რევოლუციურობა წარმოადგენს, თავად კი ლიტერატურულ კაფეში თავის ახალ კომპაქტდისკს წარმოადგენს, რომელშიც მხოლოდ ირაკლისეული მარტივი ჭეშმარიტება, ძიება და უკომპრომისობაა.

ირაკლი ჩარკვიანი გამოირჩევა უცნაური ჩაცმულობით, შენელებული საუბრით, ინგლისურ-ქართული ლექსიკით, შავი სათვალეებით, ბევრი სრულიად განსხვავებული ტიპის, ახალი და ძველი სახეების მქონე მეგობრებით, არასტაბილური შემოქმედებით, არავარსკვლავური მანერებითა და ამბიციით, კარგი მუსიკით, პოეზიით და, უბრალოდ, მორალით, რომელიც წვიმაში და ქარში, კომუნიზმში და კაპიტალიზმში, არც 18 და არც 40 წლის ასაკში არ იცვლება, არ იკარგება და არ იფიტება."

ასე ვწერდი 2004 წლის 7 თებერვალს გაზეთ "24 საათის" გვერდზე ჩემს მეგობარზე. დღეს კი, როდესაც ირაკლი ჩარკვიანი აღარ არის, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ თუ ნაღდი, ბუნებრივი, გულწრფელი არ ცვდება, მაშინ ჩარკვიანის შემოქმედებაც არასდროს გაცვდება და ყოველთვის, ყველა დროში ერთი, მარტოხელა, სევდიანი, ღრმა, ღირებულებებით, ტალანტით, წინააღმდეგობებითა და სიმართლით აღსავსე მეამბოხე სულის სიმბოლოდ დარჩება.

თავისუფლებისთვის შეწირულ სიმბოლოს - გეგა კობახიძეს, სამშობლოსათვის დაღუპულ სიმბოლოს - ლევან აბაშიძეს კიდევ ერთი მარადიული სიმბოლო - რევოლუციონერ-მეამბოხე ირაკლი ჩარკვიანი შეუერთდა. ჩვენ კი კიდევ უფრო გავღარიბდით.

# იუბილე

გამორჩენილ პოეტსა და კოლორიტულ პიროვნებას, ყველასთვის საყვარელ ადამიანს, ბატონ ბაადურ ბალარჯიშვილს 60 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ მის გამოუქვეყნებელ ლექსებს.

საიუბილეო თარიღს პოეტს ულოცავენ მეგობრები, მისი პოეზიის მოტრფიალენი და "24 საათის" მთელი რედაქცია.



### ფლიმ-ფლემ

ფლიმ-ფლემ: მივფრენ -
დროში მივფრენ დროშით -
ხოშით, თუმცა ძლივს ვიკავებ ქოშინს.
პირადში თუ ჩამერევი, გიფრენ:
ასაკი არ გამახსენო - ფლიმ-ფლემ.

მივფრენ დროში და მივაფრენ ფიქრებს,
დრამას, როგორც თეთრ ცხვირსახოცს გიქნევ,
რომ მშვიდობით აქ დამირჩე იქნებ,
მე შორს წავალ ჩემი საშვით: ფლიმ-ფლემ.

კლიტ-კლუტ: მარტო სამარეში ჩავალ.
კლიტ-კლუტ: იქ ვეზიარები მთავარს.
იარას არ გავაკარებ კეტგუტს
ფლიმ-ფლემ: მაინც დავცილდებით ერთურთს.

არ ეგების უკან ვყარო ქოში,
შევიყუჟო აშმორებულ დროში -
ამ ხნის კაცი ხომ არ წავიციგნებ -
სიცოცხლეც და სიკვდილიც ხომ: ფლიმ-ფლემ.

### ოქტომბრის ჟინჟლი და ქარი, საღამო

აქეთ და იქით ქარი მიაქნევს
ტოტებს - მზადაა ფოთოლთ წენვაზე,
გასცქერის მზესა, წითელ იალქნებს
ოქტომბრის გახუნებულ ზეცაზე.

ხილვა: ოქტომბრის ფოთლების ქარში
მარტო რომ მიდის წლოვანი კაცი
ჟინჟლი და უცებ, გუბეში იხვი,
უფრო იქით კი გორები ბაცი.

და მიხტის წუთისოფელი ანცი
როგორც კალია ჟამის კალოზე
და უფრო იქით გორები ბაცი
ჰორიზონტების სასაფლაოსკენ.

ოქტომბრის ფოთლებს წვიმის წვეთები
გადმოსცემდნენ ღრუბლების აზრს
ზეცის შესახებ
და ფოთლებს ესმოდათ უცნაური, ცივი ციმციმით
და გაყვითლებულნი და ტოტებს მოწყვეტილნი
ელოდნენ ზამთარს.
ხოლო ქარის ჭრელი მოსასხამი
ფოთლებით და კალენდრის ფურცლებით
მიშრიალებდა როგორც ხანშიშესული დენდი -
მარადისობაზე ფიქრს რომ გაურბის
და არც ამაოება ადარდებს ამაო.

### დარდი

მაცილმა გამომარჩია, ეჭვებით გამაფაციცა,
მართლაც რომ არც მიწისა ვარ და მით უმეტეს არც ცისა,
საბაბიც არ გამაჩნია, თავი ვიგულო ნარცისად,
არა ყოფილა ყისმათი ლექსების მწერი კაცისა.

## მოკლედ

### "მანეჟში" გაიხსნა ზურაბ წერეთლის გამოფენა

მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზ "მანეჟში" გაიხსნა რუსეთის მხატვართა აკადემიის პრეზიდენტის ზურაბ წერეთლის ნამუშევართა გამოფენა. როგორც ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, ეს არის უპრეცედენტო პერსონალური გამოფენა, რომელმაც "მანეჟის" ორი სართული დაიკავა. გამოფენა რეტროსპექტული ხასიათისაა და სხვადასხვა წლების ნამუშევრები გააერთიანა. მხატვრის ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის ნახვა რუს და უცხოელ დამთვალიერებელს კარგა ხანს შეეძლება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მონუმენტური სკულპტურა, რომელიც წერეთელმა არაერთ საზოგადო მოღვაწეს მიუძღვნა. 2006 წელს წერეთლის გამოფენები გაიმართება სანკტ-პეტერბურგში, იაროსლავში, ლიპეცკში, ვოლოგდაში, ტულაში.

### "რუსთავი" ბალტიისპირეთში

12 მარტიდან 15 აპრილამდე ანსამბლი "რუსთავი" შემოქმედებით ტურნეს გეგმავს ფინეთში, შვეციაში, ლიტვასა და ესტონეთში. ანსამბლი ევროპელი მაყურებლის წინაშე წარდგება ახალი პროგრამით "ქართული ქორწილი". პროგრამის იდეის ავტორია ფინელი იმპრესარიო რომი გულიარი, დამდგმელი რეჟისორი - ვასო ჩიგოგიძე. "რუსთავის" ხელმძღვანელის ფრიდონ სულაბერიძის განცხადებით, ევროპული გასტროლების შემდეგ ანსამბლი ამავე პროგრამით წარდგება ქართველი მაყურებლის წინაშე.

### "ერისიონი" გასტროლებისთვის ემზადება

უახლოეს მომავალში ანსამბლი "ერისიონი" შემოქმედებით ტურნეს გეგმავს უკრაინაში. როგორც ჯემალ ჭკუასელმა განაცხადა, ანსამბლი კიევში სამ კონცერტს გამართავს. რამდენ ხანს გასტანს "ერისიონის" გასტროლი და კიდევ რომელ ქალაქებში ჩატარდება კონცერტები, ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "ბედნიერება უბედურებაში"

თამარ დვალი

*"ბედნიერება უბედურებაში" - ასე შეარქვეს ფსიქიატრიის კლინიკის პაციენტებმა არტ-თერაპიულ განყოფილებას, რომელიც უკვე ერთი წელიწადია მათ კლინიკაში ფუნქციონირებს. სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი ავადმყოფების მიერ არტ-თერაპიის განყოფილებაში ზეთითა და ტუშით შესრულებული ნახატები, თექაზე, გობელენზე გამოსახული ფიგურები, თიხისა და ხის ნამუშევრები შარდენის ქუჩაზე მდებარე გობელენების მუზეუმში გამოიფინა.*



გელა ჯინჭარაძე 3 წლიდან ხატავს. მას ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში ჰქონდა პერსონალური გამოფენა. შემდეგ მისი ნახატები ეროვნულ გალერეაში, თეატრალურ სარდაფსა და აჭარის მუზეუმში გამოიფინა. დღეს შვეიცარიის ერთ-ერთ მუზეუმში გელას რვა ნამუშევარი ინახება. გელა თვითნასწავლი მხატვარია. ხატვის წრეზე არასდროს უვლია, რადგან მიაჩნდა, რომ თუ მასწავლებელი ეყოლებოდა, საკუთარ სტილს დაკარგავდა და სხვისი გავლენის ქვეშ მოექცეოდა. შტრიხებით ხატვა მისი ხელწერაა. იგი ძირითადად ტუშით ხატავს, ხოლო მასალად შპალერის უკანა მხარეს იყენებს. 28-ლარიანი პენსია სახატავი ნივთების შეძენის საშუალებას არ აძლევს. როგორც გელას დედამ მერი ბახტაძემ გვითხრა, მისი შვილი იაპონურ ფერწერულ სიკაშკაშეს, ბევრ საღებავსა და ტილოებს ნატრობს. 25 მარტს გელა ჯინჭარაძის ნამუშევრები, ისევე როგორც ფსიქიატრიულ კლინიკასთან არსებული არტ-თერაპიის სხვა პაციენტთა ნამუშევრები, ბრიტანეთში გამოიფინება.

სანამ ეს ნამუშევრები "ბრიტანეთის ავიახაზების" დახმარებით ლონდონში გაიგზავნება, მანამდე მისი ნახვის საშულება ქართველ დამთვალიერებელს გობელენების მუზეუმში ჰქონდა. უფრო ფართომასშტაბიანი გამოფენა კი 15 მარტს არტ-გალერეა "კოპალაში" მოეწყობა.

თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის დირექტორი ნესტან დუდუჩავა იმ დროს იხსენებს, როდესაც ძალიან უჭირდათ და გამოფენა-გაყიდვებიდან შემოსული ფულით პროდუქტებს ყიდულობდნენ. შარშან მათ კლინიკას არასამთავრობო ორგანიზაციამ "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" გრანტი გამოუყო, რის საფუძველზეც შეიქმნა არტ-თერაპიის განყოფილება. აქ პაციენტებს ხატვის, ძერწვის, თიხაზე და ხეზე მუშაობის შესაძლობლობა მიეცათ.

**"პირველი გამოფენა 1993 წელს მოვაწყვეთ. მაშინ სარდაფიდან ამოვიღეთ ძველი ნამუშევრები და გამოფენიდან შემოსული თანხით საკვები შევიძინეთ. ახლა ნელ-ნელა ვიხვეწებით, პაციენტებთან სპეციალისტები მუშაობენ და გამოფენებსაც სისტემატური ხასიათი ეძლევა. არტ-თერაპიის დახმარებით პაციენტებს თავიანთი ნიჭის რეალიზების საშუალება მიეცათ. უნდა ნახოთ მათი ჩანაწერები, თუ რას გრძნობენ ისინი აქ მუშაობისას და რა დიდ სულიერ საზრდოს იღებენ ხელოვნებისგან. სოციალურ სამყაროსთან ინტეგრაციის სხვა გზა მათ არა აქვთ,"** - აღნიშნა ნესტან დუდუჩავამ.

არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ლონდონში დაგეგმილი გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს საელჩო და ქართული სათვისტომო ბრიტანეთში. ავადმყოფთა ნამუშევრების გვერდით გამოიფინება ცნობილი ბრიტანელი ფოტოგრაფის ოლეგ მიხეევის ფოტომასალა, რომელზეც ასახულია, თუ რა მძიმე პირობებში უხდებათ ავადმყოფებს ყოფნა. **"მოხარული ვართ, რომ ჩვენმა ავიაკომპანიამ გამოფენაში თავისი წვლილი შეიტანა და ჩვენი დახმარებით ქართველი პაციენტების ნამუშევრებს ლონდონში გაეცნობიან"**, - განაცხადა ბრიტანეთის ავიახაზების რეალიზაციის მენეჯერმა ნინო ანდრიაძემ.

# თანამედროვე მოდერნიზმი თბილისის გალერეებში

მზევინარ ხუციშვილი



ერეკლე მეორის ქუჩა რამდენჯერმე უკვე ვახსენე, მაგრამ ალბათ დანაშაული არ არის, თუ იგი ძალიან საინტერესო და მიმზიდველია. ამჯერად ჩემი ყურადღება ერთმა თოჯინამ მიიქცია, რომელიც გალერეა "თავისუფალი დროის" წინ ქუჩაში დგას, ჩამოძონძილი, წარწერით - "შემიწყალეთ".

"ეს თოჯინა სპეციალურად ამ გალერეისთვის შეიქმნა, რათა ხალხის ყურადღება მიიქციოს" - მითხრა ავტორმა ლევან ბუჯიაშვილმა.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, იგი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, უამრავი ადამიანი მიიყვანა ამ გალერეაში, სადაც რამდენიმე შემოქმედს შორის ლევან ბუჯიაშვილის შემოქმედება თანამედროვე მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი თავისებურობებით გამოირჩევა.

"მაქვს კლასიკური ნამუშევრებიც, მაგრამ ძირითადი თემა მაინც მოდერნიზმია, რომელიც განსაკუთრებით უცხოელებს მოსწონთ."

მართლაც, ქვის, ძვლის და რკინისგან შექმნილი ფიგურები უფლებას არ გაძლევენ უყურადღებოდ დატოვო. პროფესიით არქიტექტორ-დიზაინერს მოხატული აქვს ქარვასლას "კაიზერ პაბი" და ხშირად მუშაობს გერმანიის ელჩისთვის.

"თანამედროვე ხელოვნების გალერეა", გალერეა "თავისუფალი დრო", "კოპალა" და " კამეა" მუდმივად ელიან მნახველს ლევან ბუჯიაშვილის შემოქმედების სანახავად.

"მინდოდა გამეკეთებინა პოლიტიკური გალერეა, მაგრამ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ სურვილი დავკარგე. გავაკეთე შევარდნაძის, თოფაძის და ბენდუქიძის ფიგურები, რომლებიც საჩუქრად გავუგზავნე და ძალიან მოეწონათ".

ამჟამად ლევანი "მერიოტში" საგაზაფხულო და ნოემბერში პარიზში გასამართი გამოფენებისთვის ემზადება, მონაცემები უკვე გაგზავნილია...

# ეკა და ტელევიზია

**ეკა კვესიტაძე**: დღეს "დიალოგების" თემაა საზოგადოებრივი მაუწყებლობა. გადაცემის სტუმრები არიან საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრი მამუკა ხერხეულიძე და ჟურნალისტი ია ანთაძე.

ის რაც დღეს ხდება საზოგადოებრივ არხზე, არის რეფორმების შედეგი, რადგან ყველა რეფორმა მტკივნეულად მიმდინარეობს თუ არის წარუმატებელი მენეჯმენტის მიერ ატეხილი აურზაური?

**მამუკა ხერხეულიძე**: არაფერი განსაკუთრებული ამ დღეებში არ მომხდარა, მიმდინარეობს ჩვეულებრივად არხის რეორგანიზაცია. საუბრები, რომ ამ არხზე კატასტროფული მდგომარეობაა, გაზვიადებულად მეჩვენება. მოგეხსენებათ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ეს არხი და რაც უფრო შიგნით მოგვიწია ჩახედვამ მივხვდით რომ ფაქტიურად ეს ტელევიზია თავიდან არის გასაკეთებელი.

**ეკა კვესიტაძე**: ზაზა შენგელიამ საკმაოდ ბევრი ადამიანი გაუშვა ტელევიზიიდან, ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ იყო საჭირო ასეთი რეორგანიზაცია?

**მამუკა ხერხეულიძე**: ჩვენ, როდესაც პირველ საბჭოში ვიყავით, აღმოვაჩინეთ რომ ამ ტელევიზიაში ორიათას სამასი თანამშრომელი მუშაობდა, რის შემდეგაც დარჩა დაახლოებით შვიდასი. მე მქონდა ჩემი აზრი, რომ საერთოდ დახურულიყო იგი და თავიდან მომხდარიყო მისი მშენებლობა.

**ეკა კვესიტაძე**: თუმცა ამბობენ, რომ ზაზა შენგელიას დროს არხს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდა?

**მამუკა ხერხეულიძე**: ეს რაღაც სუბიექტური შეხედულებებია.

**ეკა კვესიტაძე**: თქვენ პირადად რას უყურებთ ამ არხზე?

**მამუკა ხერხეულიძე**: საინფორმაციო გამოშვებას და ბიბისის ფილმებს.

**ეკა კვესიტაძე**: თქვენ როგორც მაყურებელი და ჟურნალისტი, როგორ ფიქრობთ ახალი ხელმძღვანელობის დროს რა გაკეთდა საზოგადოებრივ არხზე?

**ია ანთაძე**: როგორც მაყურებელი ვერაფერს გეტყვით, რადგან მე არასდროს ვუყურებდი ამ არხს, თუმცა იყო ხელძღვანელობისგან დაპირებები, რომ იქნებოდა ახალი გადაცემები, მაგრამ ვხედავ, რომ სიახლე არ არის, ვნახოთ მარტიდან რას შემოგვთავაზებენ.

**ეკა კვესიტაძე**: დღევანდელი აჟიოტაჟი , როგორ ფიქრობთ რისი ბრალია?

**ია ანთაძე**: მე ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა ამ არხის ვიზუალური მხარის შეცვლა, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. არ მომწონს ის , რომ ადამიანები, რომლებიც იქ მუშაობდნენ წამოვიდნენ არხიდან.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ წამოვიდნენ არხიდან ის ადამიანები, რომლებიც თვითონ მიიყვანა არხის ხელმძღვანელობამ?

**მამუკა ხერხეულიძე**: ჩვენ არ ვერევით საკადრო ცვლილებებში, ეს საკითხი მთლიანად შემოფარგლული აქვს მენეჯმენტს და დირექტორატს. გენერალური დირექტორი თავისუფალია და არჩევანს თვითონ აკეთებს, ეს კანონითაც განსაზღვრულია.

**ეკა კვესიტაძე**: თქვენ არ გაქვთ სურვილი შეხვდეთ ამ ადამიანებს?

**მამუკა ხერხეულიძე**: თუ მათ აქვთ შეხვედრის სურვილი, მე მზად ვარ, მოვისმინო მათი პრეტენზიები, თუკი ისინი არსებობს.

**ეკა კვესიტაძე**: რაში მდგომარეოს თამარ კინწურაშვილის კონცეფცია და რა გაკეთდა ამ დროის მანძილზე ამ კონცეფციიდან?

**მამუკა ხერხეულიძე**: ამ კონცეფციის მთავარი მიზანი იყო, არხზე მომხდარიყო ფინანსური გამჭირვალობა, რადგან იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები. დღესდღეობით იგი ახორციელებს თავის ფუნქციას. აგრეთვე ეს არხი უნდა ყოფილიყო ობიექტური და არ უნდა ყოფილიყო ცენზურა.

**ია ანთაძე**: არხის ყველაზე მთავარი პრობლემა ყოველთვის ის იყო, რომ თანამშრომლები არ გრძნობენ თავს მყარად, ისინი ან საერთოდ კონტრაქტის გარეშე მუშაობენ ან ერთთვიანი კონტრაქტით. ამის მიზეზი კი ის არის , რომ არ არსებობს ერთიანი გუნდი.

**ეკა კვესიტაძე**: ამ დროის მანძილზე რატომ არ შეიქმნა ერთიანი გუნდი, რომელიც სიმყარეს შეინარჩუნებდა?

**მამუკა ხერხეულიძე**: ჯერ ერთი, არც ისეთი დროა გასული, რომ ჩვენ შევძლოთ რეფორმაზე ლაპარაკი. რეფორმა მიმდინარეობს. ერთი წლის შემდეგ ჩვენ წარვდგებით პარლამენტის წინაშე, ამ დროისთვის ჩამოყალიბებული იქნება ერთიანი გუნდი, მათ ექნებათ კონტრაქტები და ეს ადამიანები აღარ იქნებიან სტრესის ქვეშ.

**მსმენელი**: რა შემოსავალი აქვთ ტელევიზიის თანამშრომლებს?

**მამუკა ხერხეულიძე**: ჩვენ, პირადად საბჭოს წევრებს, არანაირი, მაგრამ მე დიდი სურვილი მაქვს, ეს ტელევიზია იყოს ისეთი, როგორიც უნდა საზოგადოებას.

**ეკა კვესიტაძე**: რას ვიხილავთ მარტიდან ახალს?

**მამუკა ხერხეულიძე**: მე როგორც ვიცი, უნდა იყოს გოგი გვახარიას და აკა მორჩილაძის ახალი გადაცემები. ჯერჯერობით ეს ორი ახალი გადაცემა იქნება, რადგან გადაწყვეტილია აპარატურის მთლიანად შეცვლა.


ანოვანო

**ფოტოკონკურსი**

ჟურნალი "ანო და ვანო" აცხადებს ფოტოკონკურსს!
**თემა: ცნობილი ფრაზა სოსო ჩხაიძის "თუში მეცხვარიდან"- "ბალღო, აი, ეს არის შენი სამშობლო!"**
ფოტოების ზომა: 10x15.
100 საუკეთესო ნამუშევარი გამოიფინება 30 ივნისს კინოთეატრ "ამირანში".
**საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება პრიზით:**
**Nikon F 75**
სპეციალური პრიზები დააწესეს:
ჟურნალმა "ანაბეჭდი"
კომპანიამ "არსი"
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა.
საინფორმაციო მხარდაჭერა: ტელეკომპანია "რუსთავი 2"; გაზეთი " 24 საათი"; რადიო "მწვანე ტალღა"; რადიო "ახალი ტალღა";
**ფოტოების მიღების ბოლო ვადა:**
**31 მაისი, 2006წ.**
ფოტოები მოგვაწოდეთ მისამართზე:
თბილისი, პეტრიაშვილის N7,
21-ე საჯარო სკოლის შენობაში (ყოფილი მე-6)
ჟურნალ "ანო და ვანოს" რედაქცია ან
ელ-ფოსტით:
**anovano@yahoo.de**
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან - 17 საათამდე.


## TV5 MONDE
## 4 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.55** პატარა ვამპირი. მულტიპლიკაციური ფილმი. **08.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.25** სამხრეთის ანარეკლი. **11.25** პლანეტის 7 დღე. **12.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **12.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** მგრძნობიარე ასაკი. სერიალი. **14.15** გადაცემა: გურმანი. **17.30** სპორტი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** ბურლინგერის დღიურები. **21.30** ბალკანეთის უკანასკნელი მბრძანებელი. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ფავარი. 2005. (წითელი მეგობარი 1924-43 წლები) **02.20** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს. **05.40** გზატკეცილი 66, ამერიკული ლეგენდა. დოკ. ფილმი.


**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



**ყურადღება!**
რესტორანი
**"დაკარგული სამოთხე"**

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და მშვენიერ გარემოს.

ტელ. 999-207



სტუმრად მაია ჭალაგანიძესთან

# პოსტსაბჭოთა და მსოფლიოს ექიმები სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ

*ლოზანაში სანდრო ცისკარიძის ხელმძღვანელი იყო ინსულტის შესწავლის დარგში ერთ-ერთი ლიდერი, ამჟამად ინსულტის მსოფლიოს საზოგადოების პრეზიდენტი, ინსულტოლოგიის ძალიან ცნობილი სკოლის ფუძემდებელი ჟულიენ ბოგუსლავსკი. ლოზანაშივე დაიგეგმა ძალიან საინტრესო კვლევები ინსულტის ეპიდემიოლოგიაზე საქართველოში. ეპიდემიოლოგია ეს არის დარგი, რომელიც შეისწავლის ამა თუ იმ დაავადების სიხშირეს, გავრცელებას, მიზეზებს, სიკვდილიანობას, რისკ-ფაქტორებსა და სხვა. ლოზანაში შემუშავებული კვლევის გეგმის მიხედვით და შვეიცარიის მეცნიერების ნაციონალური ფონდის დაკვეთით, ნევროლოგთა ჯგუფმა, რომელსაც სანდრო ცისკარიძე ხელმძღვანელობდა, თბილისში ამ დაავადების ეპიდემიოლოგია შეისწავლა. შრომამ, რომელსაც ერქვა "ინსულტის გავრცელება, რისკ-ფაქტორები და გამოსავალი თბილისის პოპულაციაში" ამერიკის ნევროლოგიური აკადემიის მეტად პრესტიჟული ჯილდო დაიმსახურა. ეს ჯილდო აქამდე არათუ ქართველ, პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ექიმს არ დაუმსახურებია. იგივე კვლევა გახდა ბატონი სანდროს სადოქტორო დისერტაციის საფუძველი, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 2004 წელს.*
*თუ რა მისცა ამ კვლევამ ჯანდაცვის ქართულ სისტემას, რა გავლენა იქონია ამ რთული და საკმაოდ გავრცელებული დაავადების შესწავლის თვალსაზრისით - გვესაუბრება სანდრო ცისკარიძე.*

მაია ჭალაგანიძე

- საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში და ზოგადად განვითარებად ქვეყნებში ამ დაავადების რისკ-ფაქტორთა ფართოდ გავრცელების ტენდენცია შეიმჩნევა. მათ შორის, მომატებული არტერიული წნევისა, რომელიც ინსულტის ყველაზე მძლავრ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ბევრი ახალი და საკმაოდ ეფექტური მედიკამენტი გამოჩნდა, არტერიული ჰიპერტენზიის წინააღმდეგ ბრძოლა არასისტემურ და ხშირ შემთხვევაში, არასწორ ხასიათს ატარებს. რისკ-ფაქტორებში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება შაქრიან დიაბეტსაც, რომელიც ასევე ხშირად არ არის სწორად და დროზე ნამკურნალები. რისკ-ფაქტორია აგრეთვე, თამბაქოს მოხმარებაც, გულის დაავადებები, განსაკუთრებით მოციმციმე არითმია, ჭარბი წონა და ა.შ.

**- განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით რა ვითარებაა?**

- ჩვენთან ე.წ. იშემიური ინსულტის ანუ ტვინის ინფარქტის სიხშირე არც ისე მაღალი აღმოჩნდა, როგორც ამას ველოდით და მცირედ აღემატება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამასთან, მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში - რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში. სამაგიეროდ, შემაშფოთებლად მაღალი მაჩვენებელი მივიღეთ ე.წ. ჰემორაგიული ინსულტის, ანუ თავის ტვინში სისხლჩაქცევის, რომელიც ინსულტის ავადობის თვალსაზრისით ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს,. გარდა ამისა, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ძალიან მაღალია ინსულტის არაკეთილსაიმედო გამოსავალი, ანუ მაღალი ხარისხის ინვალიდიზაცია და სიკვდილიანობაა. ამ სამწუხარო მაჩვენებლის მიხედვით უდავო ლიდერები გამოვედით.

**- რა ფაქტორები განაპირობებს ამას?**

- ბევრი მიზეზია. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ არ ხდება ინსულტის სწორად გამოცნობა და შესაბამის დაწესებულებაში მკურნალობა, მეორე მიზეზი მკურნალობის და რეაბილიტაციის არასახარბიელო ტაქტიკაა, რომელიც თანამედროვე ნორმებს არ შეესაბამება. მესამე და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში თანამედროვე სამკურნალო ტექნოლოგიების არარსებობაა. მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობს და ძალიან განვითარდა ე.წ. ინსულტის სპეციალიზირებული ცენტრები, სადაც ინსულტიანი პაციენტების მკურნალობა ყველაზე თანამედროვე სამკურნალო ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, რაც საქართველოში არ არის.

**- ეს ალბათ ძვირად ღირებული ფუფუნებაა...**

- ერთი შეხედვით ძვირია, მაგრამ ამ ცენტრებში მკურნალობის ეკონომიკური ეფექტი დიდია. მკურნალობის შედეგად ინვალიდობისა და სიკვდილიანობის დაბალი დონით გამოწვეულ დაავადების ტვირთს თუ გადავითვლით საზოგადოებაზე, თუ დავითვლით იმ პოტენციურ და ნამდვილ ზიანს, რასაც თავისი ავადობის გამო პაციენტი საზოგადოებას აყენებს - შედეგი ძვირად ღირებული აღარ გამოდის. წარმოიდგინეთ, ინსულტით დაავადებული პაციენტი აკლდება ოჯახს, საქმეს, საზოგადოებას. ეს კომპონენტები დათვლადია და კონკრეტულად ერთი პიროვნების ავადობით გამოწვეული ტვირთის რიცხობრივი მაჩვენებლით გამოიხატება.

**- შეიძლება ითქვას, რომ ინსულტი სოციალური დაავადებაა?**

- დიახ. ინსულტი მაღალი სიკვდილიანობით მიოკარდიუმის ინფარქტს უტოლდება. ინვალიდიზაციის მხრივ კი უდავო ლიდერია. ხშირად ინსულტგადატანილ ავადმყოფს მეტყველება უჭირს, ვერ მოძრაობს, სჭირდება მომვლელი და უზარმაზარი დანახარჯები. საზოგადოებრივი ტვირთი ახალი ხილია და ჩვენში ნაკლებად იზომება.

**- მედიცინაში ტექნოლოგიები და თაობები სწრაფად იცვლება. ალბათ საქართველო ვერ ეწევა ამ ტემპებს. დღეს საქართველოში კვლავ დიდია საბჭოთა მედიცინის გავლენა?**

- ჯერჯერობით, ეს ინერცია დიდია. საბჭოთა მედიცინა, ერთი შეხედვით, შეიძლება კარგიც კი ჩანდა, რადგან მოსახლეობა სამედიცინო დახმარების აუცილებელი მინიმუმით იყო მოცული. სინამდვილეში, დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა მედიცინა იზოლირებული იყო მსოფლიო ტენდენციებისგან და არასწორად ვითარდებოდა. მსოფლიო ტენდენციების განვითარების ტემპი კი, განსაკუთრებით ბოლო დროს, გასაოცრად მაღალია.

**- ამ საბჭოთა ზეგავლენას თავი დავაღწიეთ?**

- მცდელობა არის. უცხოელი ექსპერტები საქართველოში დიდი ხანია ჯანდაცვის რეფორმაზე მუშაობდნენ. ბევრი რეკომენდაციაც იყო და თან ისეთი ექსპერტების, რომელთა კომპეტენციაში ეჭვის შეტანის საბაბი არ გვაქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, თავის დროზე ეს რეკომენდაციები პრაქტიკაში ვერ გატარდა.

**- აქ დგება ექიმთა განათლების ძალზე პრობლემური საკითხი...**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. საუნივერსიტეტო განათლებას რომ თავი დავანებოთ, უწყვეტი სამედიცინო განათლების დანერგვის მცდელობები რამდენიმე წლის წინ დაიწყო, სისტემური ხასიათიც მიიღო, თუმცა ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი, კერძოდ, უფრო მეტად უნდა გამოიკვეთოს არასამთავრობო პროფესიული ორგანიზაციების როლი.

**- რით განსხვავდება თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საზღვარგარეთ განათლება-მიღებული ექიმისგან?**

- საბჭოთა კავშირში სწავლების აბსოლუტურად სხვა სისტემა იყო და ამ სისტემის ინერცია ახლაც არის. ეს სისტემა წლების განმავლობაში არ შეცვლილა და დროის მოთხოვნებს არ მისდევდა. ჩვენი კურსდამთავრებული გაცილებით ნაკლებად განათლებულია და ნაკლებად აქვს საჭირო უნარ-ჩვევები, ვიდრე კურსდამთავრებულს, ვთქვათ, აშშ-ში ან სკანდინავიის ქვეყნებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ვასწავლი, სადაც სწორედ უმნიშვნელოვანესი რეფორმები დაიწყო. ამ მხრივ, უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე დიდი წინააღმდეგობებია, რომელიც უფრო პოლიტიკას უკავშირდება, ვიდრე განათლებას. უნივერსიტეტის წიაღში სამედიცინო განათლების დაბრუნება ყოველთვის კონკურენტუნარიანია და ამას დიდი პოტენციალი აქვს, მით უფრო, თუ დაგეგმილი რეფორმები სრულად განხორციელდა. ეს რთულია, მაგრამ ამის ნება არის.

**- საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერებთან ერთად განხორციელებული ერთობლივი პროექტები აქ, ჩვენს ქვეყანაში არსებულ სურათს ცვლიან?**

- მინდა დავიჯერო, რომ რაღაცას რადიკალურად შეცვლიდნენ, მაგრამ ამ ტენდენციას ვერ ვხედავ. მაგალითად, ინსულტთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შედეგები უფრო საინტერესო გახდა უცხოელებისთვის, საერთაშორისო ინსულტოლოგიურ-ნევროლოგიური თანამეგობრობისთვის, ვიდრე საქართველოს შესაბამისი სტრუქტურებისთვის.

ასეთ კვლევას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ჯანდაცვითი ღონისძიებები, უნდა ატყდეს განგაში, რადგან დაავადების სიხშირე მაღალია და სიკვდილიანობის დონე უზარმაზარი. ამგვარი კვლევების შედეგების საფუძველზე ხდება ხოლმე ჯანდაცვითი პოლიტიკის გამომუშავება ამა თუ იმ დაავადების მიმართ.

ბევრი აქტუალური პრობლემა არსებობს დღეს საქართველოში და შეიძლება ამ ფონზე ვინმემ თქვას, რა დროს ინსულტიაო, მაგრამ ეს ზედაპირული მიდგომაა. როგორც მოგახსენეთ, ამ დაავადებას უზარმაზარი სოციალურ-ეკონომიკური ტვირთი აქვს.

სხვათა შორის, გლობალიზაციის ტენდენცია მედიცინასაც ეხება და ინსულტოლოგიასაც. ძალიან ბევრი საერთაშორისო საზოგადოებაა შექმნილი, რომელიც ამ დაავადების შესწავლას უწყობს ხელს და არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. განსაკუთრებით დიდია ამ დაავადების მიმართ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინტერესი.

ჩემს მიერ სულ ახლახან მომზადებული ანგარიშის ერთი ნაწილი, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში გაიგზავნა. ანგარიშში ასახულია არა მხოლოდ საქართველოში არსებული ვითარება ინსულტის პრობლემატიკასთან დაკავშირებით, არამედ არსებული სიტუაციის ანალიზი სხვა განვითარებად ქვეყნებშიც. ამის შემდეგ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აუცილებლად გაავრცელებს რეკომენდაციებს განვითარებადი ქვეყნებისათვის და მათ შორის, ჩვენი ქვეყნისთვის. ჯმო არის უაღრესად ავტორიტეტული ორგანიზაცია ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში, რომელიც სამთავრობო სტრუქტურებთან მუშაობს და რომლის რეკომენდაციები ყოველთვის გასათვალისწინებელია.

**- როგორ უყურებს ჯმო საქართველოს?**

- კონკრეტულად ჩემს დარგზე გეტყვით. სანამ რეკომენდაციას მოგაწოდებს ვინმე, მან რეალური სიტუაცია უნდა იცოდეს. საერთაშორისო ორგანიზაციებს ეს წარმოდგენა უნდა შეუქმნა, რაც ამ კვლევით გავაკეთეთ კიდეც. არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა განვითარებად ქვეყნებში შექმნილი რეალური სურათის მოძიებაც მევალებოდა. ეს ერთმანეთთან ძალზე მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია. ასეთი ტიპის სისტემური ანალიზის მცდელობები აქამდე არ არსებობდა.

**- საბჭოთა მარწუხებიდან თავის დაღწევის კიდევ ერთი გზა მოქმედი ექიმების საზღვარგარეთ არსებულ წამყვან კლინიკებში სამუშაოდ მივლინებაა. რა საშუალებებს ფლობს ამ მხრივ სახელმწიფო?**

- ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ექიმთა პროფესიული ზრდა იმ წამყვან ცენტრებსა და კლინიკებში, რომლებიც მედიცინის ამა თუ იმ დარგში მოდის კანონმდებლები არიან. პარალელურად, ალბათ, აუცილებელია წამყვან ექსპერტთა მოწვევა და მათი გამოცდილების გაზიარება. იზოლირებულად ვერ განვვითარდებით. ხშირად ევროპელი ექიმი ამერიკაში გადის პროფესიულ "ფელოუშიპს" და პირიქით. თანამედროვე მედიცინა ისევე არ შეიძლება იყოს ჩაკეტილი, როგორც ინფორმაციული სისტემები. ათეული წლების განმავლობაში ამას მოკლებულნი ვიყავით. პოსტსაბჭოთა და დანარჩენი მსოფლიოს ექიმები სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ.

**- რამდენად განაპირობებს ჯანდაცვითი განათლების რეფორმა ამ ენების დაახლოებას? მოდით, კონკრეტულად თსუ-ს სამედიცინო ფაკულტეტზე ვისაუბროთ. თუ არ ვცდები, თქვენ სასწავლო კლინიკაც აღარ გეკუთვნით.**

- ე.წ. "სამკურნალო კომბინატის" კლინიკა, ერთი მხრივ, ეკუთვნის უნივერსიტეტს. ჩვენი დეკანი, ვანო ბოკერია, რომელიც ამ კლინიკის დირექტორადაც დაინიშნა, მის უნივერსიტეტის წიაღისთვის დაბრუნებას ცდილობს. იქ ტერიტორიები ხანგრძლივი იჯარით იყო გაცემული და სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა.

სწავლების სისტემის ცვლა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლა დროს მოითხოვს და ერთი ხელის მოსმით არ ხდება. ახალგაზრდა ექიმმა აუცილებლად უნდა გაიაროს სამეცნიერო და პრაქტიკული წრთობა მსოფლიოს წამყვან ცენტრებში. იდეალურია, თუ ის უკან დაბრუნდება. სხვათა შორის, საზღვარგარეთ ბევრი ქართველი წარმატებული ექიმია. იქიდან კი უკან ძალიან ცოტა ბრუნდება.

**- მათი გაგება შეიძლება, რთულია დაბრუნდე დანგრეულ სისტემაში.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ კიდევ უფრო დასაფასებელია ის ხალხი, ვინც უკან ბრუნდება.

ექიმთა პროფესიული ზრდისთვის აგრეთვე აუცილებელია საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების აქ, ჩვენთან ჩატარება. ნევროლოგიის ინსტიტუტი უკვე რამდენიმე წელია, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორია. ამ კონფერენციებზე დარგის წამყვან ექსპერტებს ვიწვევთ. ინსულტის "ტოპ" ექსპერტები ამ წლის სექტემბერშიც ჩამოვლენ საქართველოში. ეს უნდა იყოს პერმანენტული პროცესი და საბედნიეროდ, ამას ვახორციელებთ.

**- დავუბრუნდეთ თქვენ სამეცნიერო მოღვაწეობას. რამდენად ხელს უწყობს იგი ჩვენი ქვეყნის "პოპულარიზაციას" მსოფლიოში?**

- ჩვენმა სამეცნიერო აქტივობამ მსოფლიოში ამ დარგში მოღვაწე ორგანიზაციების და ნევროლოგიური საზოგადოების იმდენად დიდი ინტერესი დაიმსახურა, რომ ხშირად გვიწვევენ საერთაშორისო ფორუმებზე სამეცნიერო კომიტეტების წევრებად, პლენარული სხდომების თავმჯდომარეებად და მოწვეულ სპიკერებად. ასე მაგალითად, მარტში, შვედეთში, ჰელსინგბორგში, ჯმო-ს ევროპული ოფისის და ინსულტთან ბრძოლის საერთაშორისო საზოგადოების ეგიდით ევროპული მასშტაბით დარგის წამყვან ექსპერტთა შეხვედრა იმართება. ექსპერტები ერთად გეგმავენ დარგის განვითარებას შემდეგი 10 წლის განმავლობაში. წელს ამ შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფის წევრად და სპიკერად პირველად იქნება აღმოსავლეთ ბლოკის წარმომადგენელი და ეს პატივი წილად მე მერგო. ამ შეხვედრაზე გაიწერება ინსულტის პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და რეაბილიტაციის სხვადასხვა ასპექტის მომცველი ის რეკომენდაციები, რომლის განხორციელება საშუალებას მოგვცემს, შემცირდეს ამ დაავადებით გამოწვეული გლობალური ტვირთი საზოგადოებაზე. ეს ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრაა იმისთვის, რომ კლინიკური "ინსულტოლოგია" უახლოესი 10 წლის განმავლობაში სწორი მიმართულებით განვითარდეს.

**- თქვენ მიიღეთ ამერიკის ნევროლოგიური აკადემიის სახელობითი ჯილდო ნეიროეპიდემიოლოგიაში, რომელიც ცნობილი ამერიკელი ნევროლოგ-ეპიდემიოლოგის, ბრიუს შონბერგის სახელს ატარებს. დაჯილდოების ცერემონიალზე მადლობა ვის გადაუხადეთ?**

- აშშ-ში ყოველწლიურად იმართება ამერიკის ნევროლოგიური აკადემიის კონგრესი, რომელიც ნევროლოგიის დარგში ყველაზე აღიარებულ სამეცნიერო ფორუმს წარმოადგენს და სადაც ყოველწლიურად აჯილდოებენ ნევროლოგიის სხვადასხვა ქვედარგში მოღვაწე მეცნიერებს. ჯილდოს მიღების შემდეგ აუდიტორიის წინაშე წარვდექი ლექციით ნეიროეპიდემიოლოგიაში. დაჯილდოების ცერემონია ერთგვარად თეატრალიზებულია და რაღაცით წააგავს "ოსკარების" გადაცემის ცერემონიალს. მადლობა პირველ რიგში გადავუხადე ჩემს მასწავლებელს, პროფესორ რომან შაქარიშვილს, ჩემს ხელმძღვანელს ლოზანიდან პროფესორ ბოგუსლავსკის და ახალგაზრდა ნევროლოგთა იმ ჯგუფს, ვისთან ერთადაც ეს კვლევა შესრულდა.

**- დღეს საქართველოში ძალზე მტკივნეულად დგას ექიმთა პასუხისმგებლობის საკითხი. ლოზანას პრაქტიკიდან იქნებ გვითხრათ, რა იცავს პაციენტს ექიმისგან და პირიქით - ექიმს პაციენტისგან?**

- საზღვარგარეთ, სადაც სადაზღვევო კომპანიების და ექიმთა პროფესიული ასოციაციების დიდი კონტროლია სამედიცინო ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ექიმი იძულებულია, მუდმივად ტონუსში იყოს, რომ პაციენტს ზიანი არ მიაყენოს. რასაკვირველია, პაციენტის და ექიმის უფლებები თანაბრად დაცულია. თუმცა, მედიცინა მაინც სერვისის სფეროდ განიხილება და პირველ რიგში, პაციენტზეა ორიენტირებული.

ამერიკული გამოცდილება ნაკლებად მაქვს, მაგრამ ევროპაში ექიმიც საკმაოდ დაცულია და ეს პირველ რიგში, მის მაღალ კვალიფიკაციასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზეა დამოკიდებული. ევროპელი ექიმები საკუთარ თავზე ძალიან ბევრს მუშაობენ. გარდა ამისა, გარკვეულწილად სტანდარტიზებულია მათი მოქმედება. თითქმის ყოველი კონკრეტული სიტუაციისთვის არსებობს გზამკვლევები და სტანდარტები, რომლიდან გადახვევაც დაუშვებელია. არსებული სტანდარტები ხშირად იცვლება და ახლდება, ეს ცოცხალი პროცესია. ამგვარ სტანდარტებს ექსპერტთა საერთაშორისო საკონსენსუსო პანელები შეიმუშავებს. მათი რეკომენდაციების ადრესატებია როგორც უშუალოდ პრაქტიკოსი ექიმები, ისე სხვადასხვა ნაციონალური პროფესიული ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც შემდგომ ნაციონალურ კლინიკურ გზამკვლევებს ამუშავებენ. ამიტომაც ნაკლებია შანსი, რომ ექიმმა რაიმე დააშავოს, თუ ძალიან არ გადაუხვევია ამ სტანდარტულ რეკომენდაციებს, რომელშიც პრაქტიკულად ყველაფერია გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, მედიცინაში შეუძლებელია აბსოლუტურად ყველაფრის გათვალისწინება. ამისთვის ექიმის მაღალი კომპეტენტურობაა საჭირო, რადგან არსებობს სიტუაცია, როცა გზამკვლევი ვერ გეხმარება და ცოდნა, პირადი გამოცდილება თუ ინტუიციაა გადამწყვეტი.

რთული კლინიკური სიტუაციები რამდენიმე საექიმო საფეხურზე გადის კონტროლს და შეცდომის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი. რასაკვირველია, საექიმო შეცდომები ხდება, სასამართლოებიც მიდის, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, საექიმო შეცდომებზე ისტერიული ტონით საუბრობენ და მასმედია სხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენს ხოლმე. დასავლეთში საექიმო შეცდომებს ძალზე კომპეტენტური ორგანიზაციები, საქმიანად, კამერების გარეშე განიხილავენ და აუცილებლად იღებენ ადეკვატურ გადაწყვეტილებას. თუ ექიმის შეცდომა დადასტურდა, მას შესაბამისი სასჯელი ედება, ან ლიცენზია უჩერდება. და თუ ეს კრიმინალური შემთხვევა არ არის, ძიების განმავლობაში ექიმი მუშაობას განაგრძობს.

ასეთი პრაქტიკა, ალბათ, ჩვენთანაც შემოვა და ოდესმე საექიმო შეცდომებს ისტერიკის, კარის აჭედვისა და ჩაქოლვის გარეშე განიხილავენ. არასწორი გაშუქება დიდი პრობლემაა. ამან შეუძლება ჩირქი მოსცხოს უდანაშაულო ექიმს, ან პაციენტს... ამ "სენსაციის" უკან ყოველთვის ვილაც დგას და იმაზე უნდა ვიფიქროთ.

**- მედიაშიც, ისე როგორც სხვა დარგებში, მაღალი სტანდარტების პრობლემა აშკარად დგას... რას იტყვის კარგი ნევროლოგი, ამ ქვეყანაში, მუდმივ სტრესებსა და არასტანდარტულობაში როგორ დაიცვას თავი ადამიანმა ნერვული დაავადებებისგან?**

- რაიმე უნივერსალურის რეკომენდირება რთულია. ინფორმაციის ზემოქმედების საუკუნეში ვცხოვრობთ და ამას დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკაზე. შედარებით მშვიდ ქვეყნებში ხალხი მუშაობს, აკეთებს თავის საქმეს, დაკავებულია ოჯახით, ზრდის შვილებს, თავისუფალ დროს ნაკლებად უყურებს ტელევიზორს, მეტ დროს პროფესიულ და პირად საქმეებს უთმობს.

ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ - ვერიდოთ ჰიპოდინამიას, დავკავდეთ სპორტით. თუ ძვირადღირებულ აუზს ვერ შეწვდებით, უბრალოდ სუფთა ჰაერზე მაინც ვისეირნოთ. მეტი დრო დავუთმოთ მეგობრებსა და ახლობლებს, კონცენტრირებული ვიყოთ პროფესიასა და ოჯახზე.



სანდრო ცისკარიძე

ალექსანდრე ცისკარიძე: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი ექსპერტი ინსულტის ეპიდემიოლოგიის დარგში; დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; 1989 წლიდან, ინტერნატურის გავლის შემდეგ მუშაობს ნევროლოგიის ინსტიტუტში ექიმ-ნევროლოგად. 1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; რამდენიმე ხანს მუშაობდა შვეიცარიაში, ლოზანას უნივერსიტეტის ნევროლოგიურ კლინიკაში.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო აცხადებს ტენდერს მის დანაყოფებში არსებული ყველა ტიპის სატრანსპორტო საშუალებების სრულფასოვნად და გამართულად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ტექნიკური მომსახურებისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი.

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს ავტოპარკი შეადგენს 250 ავტომანქანას. კერძოდ:

რუსული წარმოების ა/მანქანები 70 ცალი; მათ შორის: ვაზ-21213, ვაზ-21214, გაზ-2410, გაზ-2417, გაზ-31029, გაზ-3110, ვაზ-2106, ზილ-131, უაზ-3152, გაზელი.

უცხოური წარმოების მსუბუქი მანქანები 180 ცალი. მათ შორის: მერსედესი, ოპელი, ვოლვო, რენო6 ფოლსვაგენ-გოლფი.

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ. № 1.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი) 2006 წლის 22 მარტის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქუჩა № 1, მე-4 სართული, № 420 ოთახი. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 22 მარტს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ. №1, მე-4 სართული, ოთახი № 420.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვს:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოსადგენია საგადასახადო ინსპექციიდან);

ბ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოსადგენია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოსადგენია შს სამინისტროდან).

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა წარმოსადგენია სასამართლოდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოსადგენია შს სამინისტროდან).

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოსადგენია სასამართლოდან);

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო, საიდენტიფიკაციო ნომერი 211369179, მომსახურე ბანკი - საქართველოს "ეროვნული ბანკი", ბანკის კოდი 220101107, ა/ა № 000115007.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართებზე: თ. სურგულაძე, თ. ჯიაძე. ქ. თბილისი, კ. ჩალაძის № 1, მე-4 სართული, ოთახი № 420. ტ: 52-29-18, 899 51-42-29, 893 25-41-85. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო.

## შ.ს.ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის 6 თებერვალს N2/4/2-21 ხელშეკრულებით განახორციელა შესყიდვები კვების პროდუქტებზე ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით

| | | |
|---|---|---|
| ფქვილი I ხარისხის | 10000 კგ. | 5500 ლარი |
| ფქვილი II ხარისხის | 5000 კგ. | 2250 ლარი |
| წიწიბურა | 2500 კგ. | 2750 ლარი |
| მანის ბურღული | 1500 კგ. | 1650 ლარი |
| ბრინჯი | 2025 კგ. | 2632.5 ლარი |
| ხორცის კონსერვი | 5995 კგ. | 38967.5 ლარი |
| თევზის კონსერვი | 4000კგ. | 18000 ლარი |
| შაქარი | 3000კგ. | 3300 ლარი |
| კიტრის მარინადი | 3000კგ. | 10500 ლარი |
| ტომატ-პასტა | 1000 კგ. | 3500 ლარი |
| მარილი | 1000 კგ. | 300 ლარი |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტი - სამეურნეო საქონელი.

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი.

სამეურნეო საქონელი

| № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა |
|---|---|---|---|
| 1 | იატაკისა და მაგიდის საწმენდი ჩვრები | ცალი | 3000 |
| 2 | ცოცხი | ცალი | 500 |
| 3 | ტუალეტის ქაღალდი | ცალი | 2000 |
| 4 | უნიტაზის ჯაგრისი | ცალი | 200 |
| 5 | ქაღალდის ხელსახოცი | ცალი | 10 000 |
| 6 | მეტალის ურნები | ცალი | 300 |
| 7 | ბოქლომები ჩამოსაკიდი | ცალი | 100 |
| 8 | კარების საკეტები | ცალი | 100 |
| 9 | იატაკის ჯოხი | ცალი | 250 |
| 10 | ღრუბელი საწმენდი | ცალი | 1000 |
| 11 | სახეხი რკინის | ცალი | 1000 |
| 12 | ტუალეტის გარნიტური | ცალი | 200 |
| 13 | ფანჯრის საწმენდი ჯოხი | ცალი | 100 |
| 14 | ლურსმანი სხვადასხვა ზომის | კგ | 120 |
| 15 | ჩაქუჩი | ცალი | 50 |
| 16 | ნაჯახი | ცალი | 10 |
| 17 | სატეხი | ცალი | 10 |
| 18 | წებო ემულსია | კგ | 20 |
| 19 | წყალი ემულსია | კგ | 50 |
| 20 | ხის წებო | კგ | 10 |
| 21 | პირდაპირი | ცალი | 5 |
| 22 | ხელის ხერხი | ცალი | 10 |
| 23 | სახრახნისის ნაკრები | კომპ. | 7 |
| 24 | ბეტონის ლურსმნები | კგ | 10 |
| 25 | ბარი | ცალი | 20 |
| 26 | მილების შესაერთებელი უთო | ცალი | 5 |
| 27 | შლანგები უნიტაზის | ცალი | 100 |
| 28 | შლანგები წყლის გამათბობ. | ცალი | 50 |
| 29 | ონკანი წყლის | ცალი | 50 |
| 30 | ონკანის საფენი რეზინის სხვადასხვა ზომის | ცალი | 200 |
| 31 | სიფონის შლანგები | ცალი | 100 |
| 32 | ქანჩების ნაკრები | ცალი | 5 |
| 33 | ბრტყელტუჩა | ცალი | 60 |
| 34 | ჩაქუჩი ურო | ცალი | 6 |
| 35 | რკინის საჭრელი მაკრატელი | ცალი | 2 |
| 36 | შურუპები 4 მმ-5 მმ | კგ | 20 |
| 37 | ანჯამა | წყვილი | 100 |

შენიშვნა: ცხრილში მითითებული სამეურნეო საქონლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ. №1, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო.

მიწოდების სასურველი ვადები - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

აუცილებელი პირობა:

- მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სერტიფიცირებული მწარმოებლის პროდუქციის მიწოდება;

- მომწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარმოუდგინოს იმ სერტიფიცირებული ფირმების ჩამონათვალი, რომელთა პროდუქციასაც მიაწოდებს შემსყიდველს.

